# სარბიელი

სპორტული გაზეთი   პარასკევი 28 მარტი 2003 №54 (1825)   ფასი 50 თეთრი


# ირლანდიას ზარი ახლობელთან დასჭირდა

## დღეს შეიძლება რობი კინიც ჩამოვიდეს


















# ავტოგრაფი მეზარგულისგან
## ირლანდიელები სამ ქულაში
## კეთილ რჩევას გვიცვლიან
# გახსოვდეთ ევროკავშირი!

თუ თბილისიდან უცხოეთში მიემგზავრებით, აეროპორტისკენ მიმავალი გადათხრილი გზის ბოლოში მამაშვილური ლარიგებასავით დაგხვდებათ აბრა-თხოვნა: „გახსოვდეთ აფხაზეთი!" ხოლო თუ უცხოეთიდან თბილისში ბრუნდებით, იმ გადათხრილი გზის ლასაწყისში სხვა აბრას მოჰკრავთ თვალს, რომელიც გახსენებთ, რომ „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია" და გული გიკვდებათ — იმ უცხოეთში წასვლამდე როგორიც დატოვეთ აქაურობა, ისეთივე გხვდებათ...

იმ უცხოეთიდან გუშინ თბილისში, საღამოს 6 საათზე ავიაკომპანია „მონარქის" თვითმფრინავი დაეშვა და ბლომად ხალხი ჩამოიყვანა. აბსოლუტური უმრავლესობა ირლანდიელები იყვნენ — ახალგაზრდული და ეროვნული გუნდების ფეხბურთელები, მწვრთნელები, ასოციაციის ჩინოვნიკები, ჟურნალისტები და თითო-ოროლა ქომაგი. დანარჩენები? 70 ტელე, რადიო და კალმოსან ჟურნალისტს შორის ინგლისელებიც იყვნენ, რაკი ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელთა სრული უმრავლესობა სწორედ ინგლისურ ლიგებში თამაშობს.




ფეხბურთელებმა ხელჩანთებს ხელი დაავლეს და ზლაზვნით გაემართნენ ავტობუსებისკენ. ეროვნული გუნდის ავტობუსს სათანადო წარწერაც ჰქონდა, ახალგაზრდულისას კი რატომღაც სტამბოლი ეწერა. მაგრამ ამას ირლანდიელი ფეხბურთელები ვერც შენიშნავდნენ, რაკი საერთოდ არაფრის მიმართ არ გამოუჩენიათ ინტერესი, მგონი, იქვე უშნოდ ატუზული აეროპორტის სასტუმროც არ შეუნიშნავთ. ზოგიერთი — ქართველთათვის უფრო ცნობილი — ჟურნალისტთა ალყაში მოქცევის გამო თუ შეჩერდებოდა რამდენიმე წამით და ამ ალყას წლების მანძილზე დაზეპირებული ფრაზებით არღვევდნენ — უარეს შემთხვევაში: ნოუ ქომენთ, უკეთესში კი: მნიშვნელოვანი მატჩი გველის, საქართველო სერიოზული მეტოქეა და მისთანებით.

ავტოგრაფებზე მონადირე ბიჭები ირლანდიის ნაკრებს სულ სამი თუ ოთხი დახვდა. აბა, „სკუადრა აძურა" ჩამოსულიყო... იტალიელები ბოლოს რომ ჩამოვიდნენ თბილისში, აეროპორტში მილეთის ბიჭბუჭობა ირეოდა. ეგებ ახლაც უფრო მეტნი ყოფილიყვნენ, როი კინი რომ ჩამოსულიყო.

ისე, ავტოგრაფებს განურჩევლად ყველას სთხოვდნენ და ირლანდიელებიც, რუმინელი ფეხბურთელებისგან განსხვავებით, დაუზარებლად იძლეოდნენ, თუმცა ეს საქმე დიდი ხანია, მობეზრებული ჰქონდათ. მავანმა ჩასუქებულმა ირლანდიელმა კი გაილაღა — მასაც ნაკრების ფორმა ეცვა და თბილისელ ბიჭებს მწვრთნელი თუ ეგონათ, ფურცლით და კალმით მიადგნენ. არადა, ის კაცი „ნასილჩიკად" ჰყავდათ ჩამოყვანილი და დიდი სიამოვნებით აწერდა ხელს. ძალიან კეთილი ძია კი იყო — ასოციაციის პრეს-ოფიცერი რომელიამეთქი, ვკითხე და ბარგი მიაგდო და საბაჟო კონტროლის შენობაში შემომყვა მისტერ მაკენას საჩვენებლად. ეს რა საშინელი ყინვაა, მითხრა და როცა ვუპასუხე, თქვენთან რა, ზაფხულიათქო, ამ დროს ასე ნაღდად არ ცივაო.

თბილისში გზები ორად გაიყო: ორივე ნაკრების ფეხბურთელები და მწვრთნელები რუსთაველზე, „მერიოტში" დაბინავდნენ, დანარჩენებმა კი „მეტეხისკენ" გადაუხვიეს.

„მეტეხში" შევხვდით ჩვენს კოლეგას, „ირიშ ინდეპენდიენტის" კორესპონდენტ ჯერი მაკდერმოტს, რომლის სტატიებიც რამდენჯერმე გვითარგმნია „სარბიელში".

ლაპარაკს შევყევით და, თბილისზე პირველი შთაბეჭდილება ვკითხე. იქაურობას თვალი მოავლო და, კარგიაო. სასტუმროზე კი არა, ქალაქზე გეკითხები, აეროპორტიდან აქამდე გზაზე-მეთქი.

მოერიდა და პირდაპირ არ მითხრა, შორიდან მოუარა, ევროკავშირში შესვლამდე ჩვენც ცუდათ ვცხოვრობდითო. აი, თქვენც ევროკავშირის წევრები რომ გახდებით, ნახავთ, რა კარგი იქნებაო. მერე კი გაკვირვებულმა მკითხა, აეროპორტიდან რომ მოვდიოდით, ყოველ ას მეტრში ავტოგასამართი სადგური გვხვდებოდა და რა ამბავიაო. აბა, რა უნდა მეპასუხა.

ცხადია, ფეხბურთზეც ვილაპარაკეთ. მითხრა, თქვენ, დარწმუნებული ვარ, მოგიგებთ, ნეტავი, ალბანეთიც მოუგებდეს რუსებს, მაგრამ ეჭვი მეპარებაო.

ისე, ჩამოსულ ჟურნალისტთაგან უმრავლესობა ასაკოვანი ხალხია, ქომაგები კი ძალიან ცოტანი იყვნენ. მეგობარმა ჟურნალისტმა „დამაიმედა", 200-300 კაცი შაბათ დილას ჩამოვაო.

**გიორგი დარჯანია**

**ბადრი ქეთილაძის** *ფოტოები*



## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXI ტური

შატორუ 0:0 ტულუზი

## ამხანაგური მატჩი

სერბეთი 1:2 ბულგარეთი

0:1 ს. პეტროვი (14), 1:1 დ. კოვაჩევიჩი (28), 1:2 ტოდოროვი (56)

## კალათბურთი

# ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 27 მარტი

**E ჯგუფი**

სკივერი 88:63 პანათინაიკოსი

**F ჯგუფი**

მაკაბი 98:71 კინდერი

**F ჯგუფი**

ოლიმპიაკოსი 73:61 ოლიმპია

ვილერბანი 68:77 ბარსელონა

# NO COMMENT

## ...ირლანდია და საქართველო მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ...



ბაჩო კორინთელის ფოტო

### ბრაიან კერი

*ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*

— ურთულესი მატჩი გველის. ალბათ, თქვენც იცით, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლია ტრავმების გამო. საწყენია რობი კინის ამბავიც. არ ვიცი, ითამაშებს თუ არა გარი დოჰერტი. ამიტომ ვფიქრობ, ძალიან გაგვიჭირდება. საქართველოს ნაკრები უკეთეს სიტუაციაშია. თქვენ კალენდარიც ჩვენზე მეტად გიწყობთ ხელს. კარგი ფეხბურთელებიც გყავთ. განსაკუთრებით გერმანიასა და შოტლანდიაში მოთამაშე ქართველებს გამოვარჩევ. მათი თამაში რამდენჯერმე მინახავს. თუმც, როგორც ვიცი, ისედაც ყველა საუკეთესოს მოუყარეთ თავი. ჩვენ კი ჩვენსას ვეცდებით. მეტოქე მეტნაკლებად კარგად გვყავს შესაწვლილი. ვიცი, რომ ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობთ და შესაბამისი ტაქტიკის დაპირისპირება მოგვიწევს, რაზეც ახლა, ცხადია, ვერაფერს გაგიმხელთ. რაც შეეხება ჩვენს შესარჩევ ჯგუფში შექმნილ ვითარებას, რუსეთს პირველ ადგილს, ალბათ, ვერავინ შეეცილება. მათ უკვე საკმაო რაოდენობის ქულებს მოუყარეს თავი და, ვფიქრობ, მომავალშიც არ გაუჭირდებათ. მეორე ადგილისთვის უმთავრეს პრეტენზიას შვეიცარია აცხადებს. ჩვენ და საქართველოც ალბათ, მეორე ადგილისთვის ვიბრძოლებთ. ამიტომ ხვალ უცილობლად მოსაგებად გავალთ მოედანზე. ვის დარჩება სამი ქულა, ნაღდად ვერ გეტყვით. ამას თავად მატჩი დაგვანახებს.

### შეი გივენი



ბაჩო კორინთელის ფოტო

— ძალიან რთული თამაში იქნება. ორივე გუნდი უქულოა და ამიტომ სამი ქულისთვის უშეღავათო ბრძოლა იქნება. მობილიზებულები ვართ და ქართველებთან სათამაშოდ სერიოზულად ვემზადებით. იმედი მაქვს, მოვიგებთ. თბილისში გამარჯვება გვაქვს დაგეგმილი და ეს უნდა შევძლოთ. სხვა შედეგი წარუმატებელი იქნება, თუმც გააჩნია, თამაში როგორ წაგვივა. წინასწარ პროგნოზების გაკეთება არ მჩვევია.

### ენდი ობრაიენი

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. თამაში ყველაფერს აჩვენებს. ღირსეულიც გაიმარჯვებს. პროგნოზისგან თავს შევიკავებ. ჩვენ მოსაგებად ჩამოვედით, თუმც როგორც ვიცი, საქართველოც კარგი გუნდია

### მარკ კინსელა

— ტექნიკური ფეხბურთელები გყავთ. ვიცი, რომ ფიზიკურადაც კარგად არიან ქართველები მომზადებული. ამიტომ, ვფიქრობ, ხვალ ლამაზი ფეხბურთი იქნება. მოედანზე სივრცეების გამოყენება და თამაშის გაშლა ჩვენც გვიყვარს და იმედი მაქვს, გულშემატკივარი ჩაკეტილ, მოსაწყენ ფეხბურთს არ იხილავს. მცირე უპირატესობას მაინც საქართველოს მივანიჭებ. თქვენ მასპინძლები ხართ და შინაური კედლებიც დაგეხმარებათ, თუმც ფავორიტად ვერც ერთს ვერ დავასახელებ. შანსი ორივეს აქვს. თუ გავიმარჯვეთ, ამას რა აჯობებს. ისე, ორივე გუნდი უქულოა და ფრე, ალბათ, ღამღუპველი იქნება. ასე რომ, ბრძოლა აუცილებლად შედგება.

**კახა შალამბერიძე**



ბაჩო კორინთელის ფოტო

# რობი, ჩამოდიხარ?..

## წუხელ კერი კინს თბილისიდანაც ელაპარაკა

**საინტერესო ინფორმაცია:** ლონდონი — თბილისის დღევანდელ რეისს, შესაძლოა, ირლანდიის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ მრისხანე ფორვარდი რობი კინი ჩამოჰყვეს და ხვალ ითამაშოს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, თბილისში უკინოდ ჩამოსულ სტუმრებს ამისი დიდად ეიმედებათ.



რობი კინი შესაძლოა დღეს თბილისში ჩამოვიდეს

შეგახსენებთ, სამშაბათს, როცა ირლანდიელებმა საქართველოსთან საშაბათო შესარჩევი მატჩისთვის მზადება დაიწყეს, დუბლინში რობი კინის მამის გარდაცვალების ამბავიც შეიტყვეს. ნაკრების ხელმძღვანელებმა კინი შეკრებიდანვე გაათავისუფლეს და, რაღა თქმა უნდა, თან სამძიმარიც გააყოლეს.

— ფეხბურთელს მძიმე ჟამი უდგას და ახლა ჩვენ მას თბილისში წამოსვლას ვერ ვაიძულებთ, თავად გადაწყვიტოს, ითამაშებს თუ არა საქართველოსთან — ასეთი იყო ირლანდიელთა მწვრთნელის, ბრაიან კერის განცხადება თბილისში გამოფრენის წინ.

ითამაშებს თუ არა კინი? ვკითხეთ გუშინ თბილისის აეროპორტში ირლანდიელთა თავკაცს. მწვრთნელისგან კონკრეტული პასუხი ვერც გუშინ მივიღეთ, მაგრამ მოგვიანებით კი შევიტყვეთ, რომ კერს კინის თამაშის იმედი კიდევ შერჩენია. მწვრთნელი ფეხბურთელს გუშინვე გვიან ღამით უნდა დაკავშირებოდა და თბილისში მისი ჩამოსვლის საკითხი საბოლოოდ გაერკვია. ამ ინფორმაციის გავრცელება ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პრესსამსახურის უფროსს ბრაიდან მაკენას თავიდან არ სურდა, გვითხრა, არაფერი ვიციო, მაგრამ როცა ჩავეძიეთ, გვითხრა — რობი კინი ამაღამ კერის ზარს ელის, დანარჩენზე თავად მოილაპარაკებენ და, თუ ფეხბურთელი წამოსვლას დააპირებს, მას ლონდონი — თბილისის ხვალინდელი რეისით უნდა ველოდოთო.

მაკენას სიტყვები გუშინვე სასტუმრო „შერატონში“ დაბანაკებულმა ირლანდიელმა ჟურნალისტებმაც დაადასტურეს.

**ძოგა ინასარიძე**

# ნაცრისფერი გამარჯობა

**თბილისი** კოხტა ქალაქია — ასეთი სიტყვებით შეუგულიანებია ირლანდიის ნაკრების მწვრთნელ ბრაიან კერს ფეხბურთელები და დელეგაციის წევრები ჩვენს დედაქალაქში გამოფრენის წინ. ძნელი სათქმელია, თბილისში ჩამოსულ-დაბინავებული ირლანდიელები როგორი თვალით გადახედავდნენ კერს მას მერე რაც აეროპორტიდან „მარიოტამდე“ გზად იხილეს.

ისე, მწვრთნელსაც ნუ გავამტყუნებთ, რას ვერჩით კაცს, რაც უნახავს, ის უთქვამს — თბილისი კოხტა ქალაქიაო.

და განა მართლაც ასე არ იყო 18 წლის წინ?!

ჰოდა, კერისაც გასაგებია, ის თბილისში მეორედაა, პირველად ირლანდიელი მწვრთნელი 1985 წელს გვესტუმრა. მაშინ საბჭოთა კავშირმა იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა, თბილისმა კი — ბრაზილიას, ესპანეთს, ირლანდიასა და საუდის არაბეთს. ბრაზილიამ და ესპანეთმა მერე მოსკოვში ფინალშიც ითამაშეს, ირლანდიამ კი ჩემპიონატი თბილისში დაიწყო და აქვე დაამთავრა.

ნახვამდის — გვითხრეს 18 წლის წინ ირლანდიელებმა.

გამარჯობათ — გვითხრეს დღეს.

1985 წელს ირლანდიელ იუნიორთა ერთ-ერთი მწვრთნელი სწორედ ბრაიან კერი იყო.

აბა, რა იცოდა ამ კაცმა, ხელმეორე შეხვედრისას თბილისი ასეთი ნაცრისფერი თუ დახვდებოდა?..

**ძოგა ინასარიძე**

# მაცდური მარტი

## ირლანდიელი ქალბატონის იდეურ-პოლიტიკური დონე

**ირლანდიელმა** ჟურნალისტმა ქალბატონმა ჯული მაკგეიგმა საქართველოს საელჩოს მიაკითხა ლონდონში და ჩვენებურთა პრესატაშეს საქართველო — ირლანდიის მატჩზე დაეკითხა.

ქალბატონი ჯულის წერილი, რომელიც სააგენტო „სკტანტას“ ვებ-გვერდში გამოქვეყნდა, ასე იწყება: „მიუხედავად ერაყში მიმდინარე კონფლიქტისა, ქართველები დარწმუნებულნი არიან, რომ შაბათის მატჩზე მეტოქე გუნდების გულშემატკივართა შორის აგრესია არ იქნება“.

რატომ უნდა ყარდეს ერაყულად საქართველო? იდეურ-პოლიტიკური დონე ირლანდიელი ქალბატონისა არანაირ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მისი სტატიის მჭმუნვარე დასაწყისი მართლაც უცნაურია.

სავებგვერდო სტატია სავსეა ქართველი დიპლომატის გამონათქვამებით (სხვათა შორის, მისი გვარსახელი მითითებული არაა, მხოლოდ თანამდებობაა მოყვანილი): ქართველი ფანები აგრესიულნი არ არიან, ასეთი რანგის მატჩები ჩვენთან ხშირად გამართულა, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს. აგრესია ერთი მხრიდან შობს აგრესიას მეორე მხრიდან. ფანებმა ძალადობა არ უნდა დაუშვან — ამას ღაღადებს ჩვენი საელჩოს მოხელე.

იგი თბილისურ ამინდზეც ალაპარაკეს: „მარტი მაცდური თვეა და შესაძლოა, ნებისმიერ ამინდი დაგვხვდეს. მაგრამ ამინდი ახლა მდგრადია, ჩვენ სამხრეთული ქვეყანა ვართ და შაბათი მშვენიერი, სიბილი უნდა იყოს“.

წერილის სათაური კი ასეთია: „ფანებს შეუძლიათ უმსუყრვალესი დახვედრის მოლოდინში იყვნენ“.

**დავით თავართქილაძე**

ოდესღაც წმინდა პატრიკმა სამყურა ბალახი მოწყვიტა და ირლანდიელებს ასე აუხსნა სამების რაობა: მამა, ძე და სულიწმინდაო. სამყურათა ქვეყნის საფეხბურთო სამებაც შეიძლება ამ ქვეყნის ეროვნული ბალახეულის სამყურობობით აიხსნას: დღეს ირლანდიის ნაკრები სამ რამეზეა დამყარებული: ირლანდიელ ხალხზე, ეროვნული ნაკრების მწვრთნელზე და ინგლისის პრემიერლიგაზე. სწორედ ეს სამეული ქმნის ირლანდიის ნაკრებს, რომელსაც ვერ დავარქმევთ მსოფლიო ფეხბურთის საოცრებას, მაგრამ მის ნამდვილ, თავისებურ მონაწილედ კი ყოველგვარი დათმობის გარეშე ჩავთვლით

# სამყურა ფეხბურთი
## იმედის მწვანე გუნდი

**საუკეთესო** ირლანდიელი ფეხბურთელები ინგლისში თამაშობენ, ასეთია ცხოვრებიდან გამომდინარე ტრადიცია, რასაც ცუდი არაფერი მოუტანია ირლანდიური ფეხბურთისთვის, თუმცა კი, ქვეყნის ჩემპიონატი დაამცრო. ამიტომ, ირლანდიელთა უპირველესი სიყვარული მათი ეროვნული ნაკრებია, იმედის მწვანე გუნდი, რომლის სახელიც მსოფლიოში 80-იანი წლებიდან გახმაურდა.

ირლანდიის პოლიტიკურ ისტორიაშიც ყოფილან ინგლისელები, რომლებსაც ამ ქვეყნისთვის თავი დაუდევთ. ასეთი იყო ჩარლზ პარნელი, რომელიც ირლანდიის თავისუფლებისთვის ბრძოლის ბელადი იყო XIX საუკუნეში. მეოცე საუკუნის მიწურულს კი ირლანდიის ნაკრებს პოპულარული ინგლისელი, ჯეკი ჩარლტონი ჩაუდგა სათავეში. ევროპულ ძალად და ხასიათად ნაკრები სწორედ მის ხელში იქცა, აღმოჩნდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე და იქ თავისთვის ისტორიული გამარჯვებებიც მოიპოვა. ჯეკის ხელში გაიცნო მსოფლიომ ირლანდიური სტილი, ხოლო ირლანდიელებმა კი შეიძინეს უმაღლეს დონეზე თამაშის გამოცდილება.



ირლანდიის ყველაზე ჰკვიანი თავები: ჯეკი ჩარლტონი და მიკ მაკარტი




ძალიან ძნელია ინგლისის გვერდით ყოფნა და შენი, თავისებური ხელწერის ქონა. ირლანდიური ფეხბურთი, ცხადია, ბრიტანული ყაიდისაა. ირლანდიელი ხალხი კი ორენოვანი. დიდი ირლანდიური ხელოვნება უფრო ინგლისურად მეტყველებს. ჩარლტონის მემკვიდრე მიკ მაკარტი კი ინგლისში დაბადებული ირლანდიელია. ირლანდიელთა ეროვნული ხასიათი ერთად მოიცავს თმენას და ბრძოლას, ყოველი თმენა, ძველ დროში ბრძოლისთვის მზადებას ნიშნავდა. ერთგვარად ეს ნაკრების სათამაშო სტილსაც ეტყობა. ხშირად იფიქრებ, რომ ირლანდიელები 90 კი არა, 190 წუთის სათამაშოდ გამოსულან მოედანზე. მათ შეტევა უყვართ, მაგრამ თავს იცავენ. ამგვარი უცნაურობა დიდად ეხმარება ნაკრებს. ირლანდიელთა გოლები უბრალოა, გონიერი და მცოდნე მოთამაშეების გოლები უფროა, ვიდრე ვარსკვლავებისა და მსოფლიო ვარსკვლავიც ირლანდიას ერთი ჰყავს, როი კინი, რომელიც ახლა აღარ თამაშობს ნაკრებში, მაგრამ როგორღაც მაინც არსებობს ამ გუნდისა და მთელი ირლანდიისთვის.

ის კორკელია, კორკი კი ირლანდიის თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიული სამჭედლოა.

მაკარტის შემცვლელი, ბრაიან კერი ტომით დუბლინელია, ის ირლანდიელი ირლანდიელია, ეს კი ერთ განსაკუთრებულ რამეს ნიშნავს. ირლანდიის ნაკრებს ის თავისებურებაც აქვს, რომ დამახასიათებელი მატჩების თამაშის უნარი შესწევს, წამკითხველს თავად შეუძლია გადაამოწმოს საკუთარი საფეხბურთო მეხსიერება, გაიხსენოს გასული მსოფლიოს ჩემპიონატი და მისი შესარჩევი ტურნირი.

ჩარლტონის დროიდან, ნაკრები ერთ-ერთ ეროვნულ სიამაყედ და გამოხატულებად იქცა. ადრე უთქვამთ, ინგლისელები რომ არა, სამყურა ბალახი კი არ იქნებოდა, ხედ გაიზრდებოდაო. ახლა, ინგლისელებიც ინგლისელებად არიან და სამყურაც ხედ იქცა, ხოლო რა არის წმინდა პატრიკის ირლანდია დღესაც ჩანს, მთელს მსოფლიოში. ძალიან საინტერესო და ლონიერი ვინმეები გვეწვივნენ, ჩვენც ჩვენებურად უნდა შევეგებოთ.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ირლანდია ციფრებში

### საუკეთესო ბომბარდირი

| | |
|---|---|
| ნაილ ქუინი | 21 |
| ფრენკი სტეპლტონი | 20 |
| ჯონ ოლდრიჯი | 19 |
| ტონი კასკარინო | 19 |
| დონ გივენსი | 19 |
| ნოელ კონტუელი | 14 |
| რობი კინი | 14 |
| გერი დელი | 13 |
| ჯიმი დანი | 12 |
| ლაიამ ბრეიდი | 9 |
| როი კინი | 9 |
| დევიდ კელი | 9 |
| კევინ შილი | 9 |
| დევიდ კონოლი | 8 |
| დერმოტ კერტისი | 8 |
| ტონი გრილიში | 8 |
| იან ჰარტი | 8 |
| პოლ მაკგრათი | 8 |
| სტივ სტონტონი | 8 |

### ყველაზე მეტი მატჩი

| | | |
|---|---|---|
| სტივ სტონტონი | 102 | (1988-2002) |
| ნაილ ქუინი | 91 | (1986-2002) |
| ტონი კასკარინო | 88 | (1985-1999) |
| პოლ მაკგრათი | 83 | (1985-1997) |
| პატ ბონერი | 80 | (1981-1996) |
| რეი ჰაფტონი | 73 | (1986-1997) |
| ლაიამ ბრეიდი | 72 | (1974-1990) |
| კევინ მორანი | 71 | (1980-1994) |
| ფრენკი სტეპლტონი | 71 | (1976-1990) |
| ენდი თაუნსენდი | 70 | (1989-1997) |
| ჯონ ოლდრიჯი | 69 | (1986-1996) |
| დევიდ ოლირი | 68 | (1976-1993) |
| ჯონი გილსი | 59 | (1959-1979) |
| როი კინი | 58 | (1991-2002) |
| მიკ მაკარტი | 57 | (1984-1992) |
| დონ გივენსი | 56 | (1969-1981) |
| დენის ირვინი | 56 | (1990-1999) |
| კრის ჰაფტონი | 53 | (1979-1991) |
| რონი ველანი | 53 | (1981-1995) |
| გარი კელი | 52 | (1994-2002) |
| მიკ მარტინი | 52 | (1971-1983) |
| გარი ბრინი | 51 | (1996-2003) |
| ჯეისონ მაკატირი | 51 | (1994-2002) |
| პედი მალიგანი | 50 | (1969-1979) |

# გივენიდან კარის გავლით დაფამდე

ირლანდია თბილისშია. მართალია, კუნძულელები შესუსტებული შემადგენლობით გვესტუმრნენ, მაგრამ მოკრძალებული შესაძლებლობების საქართველოსთვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ბრაიან კერმა პრემიერლიგაში თუ ჩემპიონთა ლიგაში გამობრძმედილი და არაერთ ჯილდოს ხელშენავლები ფეხბურთელები ჩამოიყვანა ქართველებთან საომრად. მეომრული სული კი ირლანდიელებს არასდროს დაჰკლებიათ.

ქვემოთ თბილისში ჩამოსულთაგან შვიდ რჩეულ მეომარს წარმოგიდგენთ




### შეი გივენი
20 04 1976, 47 მატჩი

„ბლექბერნიდან" „სანდერლენდში" განათხოვრებული მიკ მაკარტიმ 1996 წელს ირლანდიის ნაკრების პირველ მეკარედ აირჩია. გივენმა სადებიუტო მატჩი რუსეთთან ითამაშა, ორი წლის შემდეგ კი „ნიუკასლში" გადავიდა და მას მერე კლუბშიც და ნაკრებშიც პირველობს. გივენი შეუცვლელია. შარშან სულაც პრემიერლიგის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს.



### სტივენ კარი
29 08 1976, 19 მატჩი

კაცი, რომელიც მოედანზე გაჩერებული არავის უნახავს. კარის ფიზიკური შესაძლებლობები უდავოდ სპეციალისტთა შესასწავლია. ეს ფეხბურთელი როგორც იწყებს მატჩს, იმავე ტემპში ამთავრებს. კარის ჭენებას ხ-თვიანი ტრავმით გამოწვეულმა პაუზამაც ვერავნო. სტივენი ჯერი ფრენსისის „ტოტენჰემში" ნახევარმცველად მივიდა, მაგრამ ალღოიანმა მწვრთნელმა კარი მარჯვენა მცველად დააყენა და არც შემცდარა.




### გარი ბრინი
12 12 1973, 50 მატჩი, 7 გოლი

ასეთი ცენტრალური მცველი თითებზე ჩამოსათვლელია ბრიტანეთში. ბრინი პოზიციურად ძლიერი და, ფაქტობრივად, უნაკლოა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ამ კაცმა ნახევრადსამოყვარულო „მეითსთოუნში" დაიწყო კარიერა. გარი 1997 წელს „ქოვენთრიდან" უფასოდ გადავიდა „ვესტ ჰემში". სანაკრებო დებიუტი კი ერთი წლით ადრე ჰქონდა პორტუგალიის წინააღმდეგ.



### ჯონ ოში
30 04 1981, 3 მატჩი

„მანჩესტერ იუნაიტედის" ახალი თაობის ყველაზე გამორჩეულ ფეხბურთელად ჯონ ოშის თვლიან. ამის დასტური ცოტა ხნის წინ ფეხბურთელის მიერ სახელოვან კლუბთან გაფორმებული ახალი კონტრაქტიცაა. ყმაწვილი ოში ოთხი წელი იწრთობოდა მანჩესტერულ სკოლაში. ჯონმა 1998 წელს 16-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატი მოიგო და იმავე წლის ზაფხულში წაიყვანა „მანჩესტერმა". მანამდე იგი მშობლიურ „უოტერფორდში" ირიცხებოდა.



### მეტ ჰოლანდი
11 04 1974 , 28 მატჩი, 4 გოლი

პორტუგალიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჰოლანდმა ზღაპრული გოლი გაიტანა და იმ გოლის, მარკ კინსელას და როი კინის ტრავმების გამო სანაკრებო კარიც ფართოდ გაუღო მიკ მაკარტიმ. წინა მუნდიალზე ირლანდიელთა პირველი გოლიც ჰოლანდმა გაიტანა კამერუნთან. ახალმა მწვრთნელმა ბრაიან კერმა თავის სადებიუტო მატჩში შოტლანდიასთან კაპიტნად სწორედ იფსვიჩელი ნახევარმცველი აირჩია.



### კევინ კილბეინი
01 02 1977, 41 მატჩი, 4 გოლი

ინგლისის პირველ ჩემპიონ „პრესტონ ნორთ ენდის" ქალაქში დაბადებულ მარცხენა ნახევარმცველს 1997 წელს ჰქონდა დებიუტი. კილბეინმა სადებიუტო მატჩი ჩაგდო და წელიწადნახევარს გაუგრძელდა პაუზა. მიკ მაკარტიმ კილბეინს შვედებთან მატჩში უხმო, ფეხბურთელმაც გაამართლა მწვრთნელის ნდობა და მას მერე ირლანდიელთა გუნდის უცვლელი წევრია.

### დემიენ დაფი
02 03 1979, 32 მატჩი, 2 გოლი

მსოფლიოს საფეხბურთო ვარსკვლავების გაფართოებულ სიაში ნამდვილად მოიძებნება დემიენ დაფის ადგილი. ევროპას ბობოლა კლუბები გაფაციცებით ადევნებენ თვალს ამ ფეხბურთელს. დაფს 19 წლისას ჰქონდა დებიუტი ჩეხებთან საგარეო მატჩში, მაგრამ მეორედ ნაკრების მაისურა მხოლოდ 3 წლის შემდეგ, 2001-ში მოირგო. ამ სამ წელიწადში დაფის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დიდად იზრუნა გრემ სუნესმა — „ბლექბერნის" მაშინდელი თავკაცის ერთობ მადლიერია ირლანდიელი შემტევი, რომელიც კარიერის გარიჟრაჟზე ნახევარმცველად თამაშობდა და მიკ მაკარტიმ აქცია გამოკვეთილ ფორვარდად. დაფის ვარსკვლავმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისას დაიწყო გაბრწყინება. მუნდიალზე დემიენმა საუდეთს გაუტანა ლამაზი გოლი. ესპანეთთან პენალტებით წაგებულ მერვედფინალში კი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.



# მაცნე მოიდა დილომსა

## ჩივაძემ ქართული და ირლანდიური პრობლემები აწონა და საკუთარი ემძიმა

*გუშინდელი საათნახევრიანი წვრთნის შემდეგ საქართველოს ეროვნული გუნდის თავკაცი ალექსანდრე ჩივაძე დიღმის ბაზის საკმაოდ შელანძულ სავარჯიშო მოედნის კიდესთან შეყოვნდა. რამდენიმე წუთში ჩივაძე მეტოქის ბანაკიდან მოსულ ინფორმაციებს ეცნობოდა*



**ირლანდიას** რობი კინი არ ჩამოუყვანია, თბილისში ჰარტი, კელი, მორისონი და მაკატირიც ვერ ითამაშებენ. „სამყურებს“ სხვა პრობლემებიც ჩამოჰყოლიათ, კერს შემადგენლობაში ტრავმირებულებიც ჰყავსო, იჩემებდა მავანი.

„ეგ არაფერს ნიშნავს, ირლანდიას საკმარისად ჰყავს მაღალი კლასის მოთამაშეები. წამყვანი ფეხბურთელების გამოკლება კი მათ ნაკრებს უფრო ბრძოლისუნარიანს ხდის. კახა კალაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის დაკლებით პრობლემები ჩვენ უფრო მეტი გვაქვს, მაგრამ ჩვენც უნდა მოვახერხოთ სრულად მობილიზება და მეტოქეს ბრძოლა გავუმართოთ“ — თქვა ჩივაძემ და საშხაპისკენ გზას გაუყვა.

ნაკრების გუშინდელი წვრთნა ხუთ საათზე დაიწყო და საათნახევარზე მეტ ხანს გასტანა. ფეხბურთელები ჯერ კარგად გახურდნენ, მერე ჩივაძემ თავბურთი გაარჩევინა. ათიოდ წუთის შემდეგ გუნდი ორად გაიყო. ჩივაძემ ცხრა მოთამაშე ჩაიბარა, ერთი ამდენი მურთაზ ხურცილავას გადაულოცა და კვადრატიც გაჩაღდა.

მონდომებით იშრომეს ფეხბურთელებმა, თითქმის ყველამ შეასრულა შავი სამუშაო. ერთი თემურ ქეცბაია „გადარჩა“. მიზეზი გასაგები იყო, კვადრატისას თემური ერთხელაც არ შემცდარა, ბურთი არ დაუკარგავს და, ბუნებრივია, წრეშიც არ ჩამდგარა.

ოთარ გაბელიას გიორგი ლომაია და დავით გვარამაძე ცალკე გაეყვანა და ღდინს აცლიდა. ათ წუთში ნაკრების მეკარეები ისე ამოიგანგლენ ტალახში, შორიდან მათი ცნობა ჭირდა.

ცოტა ხანში ჩივაძემ ჩასტვინა და ფლანგური შეტევების დამუშავებაც დაიწყო. „ბურთი მაღლა აწიე, მაღალი გადაცემები-მეთქი“ — შენიშვნებს აძლევდა მწვრთნელი და ბიჭებს თავით თამაშს აძალებდა.

მერე ფეხბურთელებმა გორგოლაჭებზე შემდგარი სავარჯიშო კარი მოედნის ცენტრამდე მიაგორეს და ორკარაც გაჩაღდა.

მანამდე შოთა არველაძემ მწვრთნელთან მიირბინა, მალიმალ ბარძაყზე ისვამდა ხელს და ჩივაძის ღასტურის შემდეგ ვარჯიშიც შეწყვიტა. შოთამ ადმინისტრაციულ კორპუსში რომ შეგვასწრო, გეზი ნაკრების ექიმ ლიმა ზაალიშვილისკენ ავიღეთ.

„პირველადი დაკვირვების შემდეგ საგანგაშო არაფერია. მძიმე გრუნტზე ვარჯიშმა ბარძაყის კუნთი გაამიზეზა. ოდნავ დაჭიმულობაზეც შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ შაბათს შოთა მწყობრში იქნება“ — ნაკრების ექიმი იმედიანად იყო.

ორკარას რომ მორჩნენ, ფეხბურთელებმა ბურთები საჯარიმოს ხაზზე გაამწკრივეს, კარში დარტყმებშიც წაივარჯიშეს და მეკარეებიც ამეცადინეს. ჩივაძემ დამთავრებისა ჩასტვინა და შეგირდებსაც შეუძახა, გარეთ ნუ შეყოვნდებით, არ გაცივდეთ, ახალი პრობლემები არ გვჭირდებაო.

სამდღიანი დაკვირვების შემდეგ ჯერაც ვერ ვიტყვით, როგორ ფორმაშია ნაკრების ძირითადი ბირთვი. ერთი შეხედვით, ენერგიულები ჩანან ჩივაძის შეგირდები. ნაკრების წვრთნა სიმსუბუქეც თვალში საცემია, მაგრამ ჯერ არ ვიცით, როგორები გამოჩნდებიან ისინი ირლანდიელთა წინააღმდეგ. ეყოფათ ძალა თამაშის ბოლომდე თუ, როგორც ხშირად გვინახავს, მათი შემართება და ენერგია 15 წუთში გაქრება?

**მამუკა ძვანტალიანი**



ხალხს აინტერესებს ნაკრების ვარჯიშიც, რომელიც გუშინ შოთა არველაძემ ტკივილის გამო მიატოვა





# კობიაშვილმა კონკრეტული შალკე ირჩია

## მეორე სართულზე ჩვენც უნდა ავიდეთ



*ლევან კობიაშვილის „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგაში დასაბრუნებლად იბრძვის და მიზნის მისაღწევად ფოლკერ ფინკეს გუნდს ბევრიც არაფერი აკლია. თუმც შეგვიძლია, ჩვენებური დღესვე ბუნდესლიგელად მივიჩნიოთ. ლევანმა რამდენიმე დღის წინ გელზენკირხენულ „შალკესთან“ კონტრაქტი გააფორმა. კობიაშვილს გუშინ მაშინ გავესაუბრეთ, როცა ვარჯიშის შემდეგ საშხაპისკენ მიიჩქაროდა*

— „შალკესთან“ სამწლიანი კონტრაქტი „ობერჰაუზენთან“ თამაშამდე გავაფორმე. ახლა შემიძლია, მშვიდად ვიყო, უკვე ვიცი, როგორ ავაწყო სამომავლო გეგმები და ეს წინსვლაში უფრო დამეხმარება.

**— შენს „შალკეში“ გადაბარგებაზე გერმანული საინფორმაციო წყაროები აქამდეც იუწყებოდნენ. სანერვიულოც რაღა უნდა გქონოდა?**

— არც მინერვიულია, უბრალოდ, სანამ საქმე ბოლომდე არ გაიჩარხა, საბოლოოდ ბეჭედი არ დაესვა, მანამ ძალაუნებურად მეფიქრებოდა. ნებისმიერი მოლაპარაკება შეიძლება შეწყდეს და ჩაიშალოს, თუმც ახლა ყველა ფორმალობა მოგვარებულია.

**— შემოთავაზება სხვა ბუნდესლიგური კლუბებიდანაც გქონდა, შენ კი ყველას „შალკე“ არჩიე.**

— იყო ლაპარაკი დორტმუნდის „ბორუსიაზე“, სხვებიც შემეხმიანნენ, მაგრამ კონკრეტული წინადადებით გელზენკირხენიდან მომმართეს.

**— ახალ კლუბში გადასულს, არ არის გამორიცხული, „ფრაიბურგის“ წინააღმდეგაც მოგიხდეს თამაში.**

— ამაში დარწმუნებული ვარ. ზამთრის შესვენების შემდეგ „ფრაიბურგმა“ ცოტა კი წაიფორხილა, მაგრამ გუნდმა ჩავარდნას თავი მალე დააღწია და თავისი თამაშიც იპოვა. მჯერა, ფინკეს გუნდი ბუნდესლიგაში დაბრუნდება.

**— საქართველო ირლანდიის დამარცხებას თუ შეძლებს?**

— ძალიან ძნელი და რთული თამაში გველის. რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის არყოფნა ირლანდიას ვერ დაასუსტებს. მათ აქვთ გარკვეული უპირატესობა, შესაშური ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან და მეორე სართულზე ბრწყინვალედ ბურთაობენ, თუმც კოზირი ჩვენც გაგვაჩნია და თუ თამაში საჩვენოდ აგვეწყო, მაშინ მეტოქეს ძალიან გაუჭირდება.

**მამუკა ძვანტალიანი**

# 3-5-2

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

## საქართველო — ირლანდია

თბილისი. ეროვნული. 28 მარტი. 16 საათი



# არველაძის კონტაქტური კარატე

## დარტყმა თავითაც მოსულა

*დღეს რევაზ არველაძის გაწვრთნილი ახალგაზრდული ნაკრები შესარჩევ ციკლში პირველ მატჩს ითამაშებს — შვეიცარიასთან 0:2 და რუსეთთან 0:3 წაგებული შეხვედრების შემდეგ ჩვენს ოცდაერთწლამდელებს კვლავაც შერჩენიათ ოლიმპიადაზე მოხვედრის მცირეოდენი შანსი...*

*გუშინ ახალგაზრდულებმა ისევ „ოლიმპის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე ივარჯიშეს. გუნდს დაემატნენ დინამოელი შემტევი ირაკლი სამხარაძე და ორი ტორპედოელი — ლაშა ჭელიძე და დავით გამეზარდაშვილი...*

*დანარჩენზე კი „სარბიელის" რევაზ არველაძესთან ინტერვიუთი ვიმსჯელოთ.*

**— როცა გუნდი ჩაიბარეთ, თქვით, რომ მთავარი ფეხბურთელების მხრიდან ეროვნული საქმისადმი მიდგომის ასპექტზე მუშაობა იქნებოდა — როგორ ფიქრობთ, ამ ამოცანას თავი გაართვით?**

— ეროვნული სულისკვეთების შესახებ ფეხბურთელებს დღედალამ ველაპარაკები. ბიჭებმა უნდა გაიგონ, რომ ეს ძალიან სერიოზული მომენტია. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მათ ხომ, ფაქტობრივად, ერთი ნაბიჯი აქვთ დარჩენილი ეროვნულ ნაკრებამდე.

**— კონკრეტულ ასპექტებზე გადავიდეთ — გუნდს ყველაზე უფრო დაცვაში აქვს პრობლემები — ტრავმების გამო გამოგაკლდათ ინწკირველი და უგრეხელიძე, ხოლო ალეკო ამისულაშვილი და ოთარ ხიზანეიშვილი ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს...**

— დაცვაში მართლა შეგვექმნა პრობლემები, მაგრამ ფონს ჩვენს ხელთ არსებული ძალებით უნდა გავიდეთ. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებში ამ ორი მცველის მიწვევას, ამაზე თანახმა ვარ — ეროვნულ გუნდს თუ რამ დასჭირდა, მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს.

**— ედიკ საჯაია ითამაშებს?**

— ირლანდიასთან ალბათ არა, შვეიცარიასთან კი შესაძლოა.

**— რამდენი მცველით აპირებთ თამაშს?**

— სამი მცველით.

**— ნახევარდაცვაში რამდენიმე საინტერესო, დაწინაურებულმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი და, შესაბამისად, კონკურენციაც გაიზარდა — თქვენ რომელ შუახაზელებს მიანიჭებთ უპირატესობას?**

— შევეცდებით ნახევარდაცვისთვის ოპტიმალური ხუთეული შევარჩიოთ — არჩევანი კი მართლაც გვაქვს.

**— სამი საყრდენით, ანუ გამოკვეთილი პლეიმეიკერის გარეშე ითამაშებთ?**

— მალხაზ ასათიანი დანარჩენ ცენტრალურ ნახევარმცველებზე წინ იქნება წაწეული.

**— ფლანგებზე როგორაა საქმე — ორი ფრთა სწრაფი და შემტევი იქნება?**

— ალბათ, დიფერენცირებული ვარიანტი გამოვა — ორივე ფლანგზე თანაბრად შემტევი თამაში გაგვიჭირდება.

**— შოტლანდია — ირლანდიის ახალგაზრდულთა ამხანაგური მატჩის ვიდეოფირს უყურეთ და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— მატჩი შოტლანდიელებმა მოიგეს 2:0 და 11-მეტრიანიც გააცუდეს. თუმც უნდა გითხრათ, რომ ირლანდიელებს ცალსახად ბრიტანული ფეხბურთი არ უჩვენებიათ — მათ, ასე ვთქვათ, ფეხბურთის თამაშიც საკმარისად იციან. ირლანდიელები ერთი გამოკვეთილ ფორვარდით თამაშობენ, მაგრამ ჰყავთ საკმაოდ კარგი გარემარბიც — უესლი ჰულაჰანი („შელბურნი"), გამოვყოფდი მარცხენა მცველ პოლ ტირნისაც („ქრიუ"), რომელიც აქტიურად ერთვება შეტევაში. მეკარეც ურიგო როდი ჰყავს ირლანდიის ახალგაზრდულს — გრეგ სტაკი („ბევერენი"). ჩვენს მეტოქეს ორი მაღალი მცველი და ორი ახმახი ნახევარმცველიც ჰყავს — ისინი ფიზიკურად ძლიერები არიან, მაგრამ ცოტა მოუხეშავები.

**— და ასეთ გუნდთან ფრედ რომ ითამაშოთ, კმაყოფილი დარჩებით?**

— ჩვენი სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ფრე კმაყოფილებას ვერ მოგვიტანს. ნაკრებს თავისი სპეციფიკა აქვს — მხოლოდ კარგი თამაში, თუ მას შედეგი არ ახლავს, არაფერს ნიშნავს. კლუბში კი შესაძლოა, ერთი-ორი მატჩი ლამაზად, უშედეგოდ ითამაშო, მაგრამ სამომავლოდ კარგი თამაშის წყალობით შედეგსაც მიაღწიო.

**— ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებლის პოსტზე დებიუტი მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩში გქონდათ — მაშინ გუნდი ერთი დღით შეიკრიბა, ახლა კი ოთხით — დროის ამ მონაკვეთში შეძელით თქვენი იდეები ფეხბურთელებამდე მიგეტანათ?**

— სანაკრებო მატჩისთვის აუცილებელი მოტივაცია და გარკვეული წმინდა საფეხბურთო ელემენტები ალბათ მივიტანე ფეხბურთელებამდე — მეკარიდან დაწყებული ფორვარდით დამთავრებული, ყველამ სანამ ჯანი არ გამეცლება, ვაჟკაცურად და პატიოსნად უნდა იბრძოლოს, ხოლო თუ ვინმე დაიღლება, შეცვლა უნდა ითხოვოს. ამ ფაქტორის გარდა ვიმუშავეთ სტანდარტულებზე, კონკრეტულ ეპიზოდში თუ ვინ რა მიმართულებით უნდა გაიქცეს — ერთი სიტყვით, იმას გავწვდით, რისი მოკლე დროში ფეხბურთელის თავში ჩადება შეიძლება. მაგრამ ფეხბურთი იმდენად იმპროვიზირებული თამაშია და წამიერი გადაწყვეტილების მომენტი ისეთი მნიშვნელოვანია, რომ ბევრი რამ მხოლოდ ფეხბურთელებზეცაა დამოკიდებული.

**— კიდევ რა ფაქტორზე გაამახვილეთ ყურადღება?**

— ბევრი ვილაპარაკეთ პირველი გოლის ფაქტორზე — ეს საყოველთაოდ აღიარებული ფაქტორია, რომელიც სტატისტიკურ მონაცემებს ეყრდნობა — ვინც პირველ გოლს გაუშვებს, ის უფრო ხშირად ვერ იმარჯვებს. თუმც ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ გუნდს თამაშის შებრუნება არ უნდა შეეძლოს.

**— ცოტა არ იყოს, ზერელე, მაგრამ აქტუალური შეკითხვა — შეუძლია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ირლანდიას თავით გაუტანოს გოლი?**

— ვფიქრობ, რომ შეუძლია. ალბათ, გვექნება მომენტები, თავურებიც გამოვიყენოთ საგოლე მომენტების შესაქმნელად — ამაზე სერიოზულად ვიმუშავეთ. ისე კი, ძირითად აქცენტს საშუალო და მოკლე გადაცემებზე გავაკეთებთ. მსურს, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა რაც შეიძლება ერთმანეთში კონტაქტური ფეხბურთი ითამაშონ, ბურთი ერთმანეთს ხშირად გადააწოდონ — მეტეოროლოგიური პირობების გამოც, მინდორზე ძალიან ძნელი იქნება 20-25 მეტრიანი გადაცემების შესრულება.

**— მოტივაცია და განწყობა ხშირად ვახსენეთ — თქვენს მიერ გაწვრთნილ ახალგაზრდულ ნაკრებს პირველი მატჩი აქვს შესარჩევში — ძალიან დაძაბული ხართ?**

— მე თვითონაც მხნედ ვარ, ნერვიულობის დრო კი ნაღდად არ არის.

**დავით თავართქილაძე**

# ირლანდიელი დონი



## ეს ის გივენსია, რუსებს სამი გოლი რომ გაუტანა?

**დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ახალგაზრდა მწვრთნელ რევაზ არველაძეს, უფრო სწორად კი მის გუნდსა და ტაქტიკას მრავლისმნახველი დონ გივენსი გამოცდის თავისი გუნდითა და ტაქტიკით**

დონ გივენსი დიდი კაცია ირლანდიური ფეხბურთისთვის. თავის დროზე ფეხბურთელობისას ის თავდამსხმელი გახლდათ და მეგოლეობაში ორი რეკორდიც ეკუთვნის. 56 სანაკრებო შეხვედრაში 19 გოლი გაიტანა, რითაც ხუთი ბურთით გადაუსწრო ძველ რეკორდსმენ ნოელ კანტუელს და ამ რეკორდმა რვა წელი გაძლო, სანამ 1990 წელს, თავისი კარიერის მიწურულს, ფრენკ სტეპლტონმა ერთი გოლით არ გააუმჯობესა. გივენსის მეორე რეკორდი კი დღემდე ვერავის დაუმხია. 1975 წელს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გივენსმა თურქეთის ნაკრებს ოთხი გოლი გაუტანა. მას მერე აგერ, 28 წელი გავიდა და ერთ შეხვედრაში ოთხგოლიანი შედეგიანობა არც ერთ ირლანდიელს არ ჰქონია. სხვათა შორის, იმავე შესარჩევ ციკლში, დუბლინის „დეილიმაუნდ პარკზე" გივენსმა საბჭოთა კავშირის ნაკრებს სამი გოლი გაუტანა, თუმც ქართველთაგან იმ მატჩში არავის უთამაშია.

გივენსის პირველი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი" იყო, მაგრამ იქ მხოლოდ ხუთ მატჩში ითამაშა. მერე „ლუტონში" გადავიდა, ყველაზე დიდხანს კი „ქუინზ პარკ რეინჯერსში" დარჩა — 5 წელი, სადაც 242 შეხვედრაში 76 გოლი გაიტანა. მცირე ხნით „ბირმინგემში", „ბორნმუთსა" და „შეფილდ იუნაიტედში" ითამაშა. საერთო ჯამში ინგლისურ ლიგაში 113 გოლი მიითვალა, ცხრაც — ევროთასებზე.

ფეხბურთელის კარიერა გივენსმა შვეიცარიაში, „ქსამაქსში" დაასრულა და სწორედ მისი კაპიტნობით მოიგო გუნდმა პირველად ქვეყნის ჩემპიონობა. მოგვიანებით, მან იქვე დაიწყო სამწვრთნელო კარიერა.

2000 წელს დონ გივენსი ირლანდიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს და მას უმადლიან თომას ბატლერის, სტივენ რიდის, კლინტონ მორისონის, გარი დოჰერტის, რიჩარდ დანის და ჯონ ოშის აღზრდას.

მცირე ხნით, მიკ მაკარტის წასვლის მერე, გივენსი ეროვნული გუნდის მენეჯერის მოვალეობასაც ასრულებდა.

**გიორგი დარჯანია**



# დევიდური ამბები

## 1 მიზანი ერთია: №7

### ლიხტენშტაინში ბექემზე ინადირებენ



ლიხტენშტაინი, რომლის მოსახლეობაც „ოლდ ტრეფორდის“ ტევადობის ზუსტად ნახევარია, ინგლისური დესანტის მოლოდინშია. ცხადია, შვეიცარიის აღმოსავლეთით მდებარე ამ ზღაპრულ ქვეყანას არც ბომბი დაეცემა და არც ტყვიების კორიანტელი — ინგლისელები იქ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საბურთაოდ ჩადიან.

ჰოდა, გადაირია მთელი ქვეყანა. აბა, როდისღა ეღირსებათ ცოცხალი ბექემის ნახვა? კი ბატონო, სვენ გორან ერიკსონმაც თქვა, მთელი სერიოზულობით თამაში გვმართებსო, მაგრამ ლიხტენშტაინელ მოყვარულებს რა შანსიც აქვთ, ყველას კარგად მოეხსენება.

თუმცა ერთი შანსი ყველას აქვს და ამისთვის ბრძოლა უკვე დაიწყო. მასპინძელთა მცველი, 21 წლის ანდრეას გერსტერი ამბობს, რომ მთავარია მატჩის წინ ბექემი შეიპიროს, რათა ამან თავისი მაისურა სხვას არ გაუცვალოს. მისი კბილა, ოღონდ მეკარე პეტერ იეჰლეც ამ პრობლემის მოგვარებითაა დაკავებული — ბექემის მაისურა მეც მინდაო. პატარებისთვის დათმობას არც 30 წლის ნახევარმცველი, მასწავლებელი ფრედი გიგონი აპირებს და ამბობს, მაგ სუვენირისთვის მგონი ერთმანეთს დავჭამთო. ერთადერთი, ვინც ლიხტენშტაინის ნაკრებში ძირითადად თამაშზე იფიქრებს, 34 წლის სანტექნიკოსი მარტინ ტელსერია და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვობიდან „არსენალს“ გულშემატკივრობს და საყვარელი გუნდის მუდმივი მეტოქის მაისურის ჩაცმას არ აპირებს.

ისე, მატჩისშემდგომ გაწევ-გამოწევაში შესაძლოა ტელსერიც ჩაებას: ბოლო-ბოლო, სხვათა დარად, ისიც 145 გირვანქას იღებს ეროვნულ გუნდში თამაშისთვის, ბექემის მაისურა კი „სოთბისის“ ბოლო აუქციონზე 2 280 გირვანქად დაფასდა და სამ ათასად გაიყიდა.

**გიგა ძოწაჩიძე**

# 2 ბერნაბეუ: სიცრუის დეტექტორი

### მადრიდი ვიკასაც მოეწონება, დარწმუნებულია რობერტო კარლოსი





**მადრიდის „რეალს“** რომ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ვარსკვლავის, დევიდ ბექემის შეძენა სურს, უკვე საყოველთაოდ გახლავთ ცნობილი. მადრიდელებს საამისოდ 40 მილიონი ინგლისური გირვანქა აქვთ გადადებული და გულს ის გარემოება უკეთებთ, რომ თავად ფეხბურთელი წინადადებას დიდი ენთუზიაზმით ეხმაურება. ახლა, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „რეალისა“ და „იუნაიტედის“ დაპირისპირების წინ, შესაძლოა, რომელიმე ან სულაც ორივე მხარეს, თემის წამოწევა და ნაადრევად გაღვივება არ სურდეს, მაგრამ რაკიღა ასეთი ხმაურიანი ამბავი ერთხელ ითქვა, მასზე საუბრისგან თავის შეკავება უკვე ძალიან ძნელია.

ფეხბურთელთაგან ბექემის მანჩესტერში შესაძლო გადასვლას პირველი რობერტო კარლოსი გამოეხმაურა: „ჩვენთან ყველას გაუხარდება ბექემის მოსვლა და იმედი მაქვს, ეს ყველაფერი ჭორი არ არის. „რეალში“ უკვე ბევრი დიდი ვარსკვლავი თამაშობს და თითქოს მეტი რაღა უნდა, მაგრამ ბექემი ერთი მათგანია, ვისაც ამ ისედაც ძლიერი გუნდის კიდევ უფრო გაძლიერება შეუძლია. ვიცი, იგი ჩვენს ქომაგებს შორის დიდ პოპულარობას მოიპოვებს. მე თუ მკითხავთ, ამა თუ იმ ფეხბურთელს მსოფლიო კლასისა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ვუწოდოთ, თუ მას „რეალში“ უთამაშია. ფაქტია, ევროპაში ბევრი მაღალი კლასის გუნდია, მაგრამ მათ შორის უდიდესი „რეალი“ გახლავთ. ამიტომ, უდიდესი მოთამაშეები თავის შესამოწმებლად აქ უნდა ჩამოდიოდნენ, აქ უნდა დაუმტკიცონ ხალხს მართლა ასეთი ძლიერები არიან თუ არა. მხოლოდ „ბერნაბეუზე“ შეიძლება გაეცეს პასუხი კითხვას, არის თუ არა ესა თუ ის ფეხბურთელი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული. იგივე ზიდანი, ფიგუ და რონალდო მადრიდში ჩამოსვლის წინ დიდი რეპუტაციით სარგებლობდნენ, მაგრამ აქ ეს რეპუტაცია კიდევ უფრო გაიზარდა. იგივე მოხდება ბექემთან დაკავშირებითაც. ის ინგლისის ნაკრების კაპიტანია, მაგრამ თუ „რეალის“ მოთამაშე გახდება, ორმაგად დააფასებენ. მწამს, კმაყოფილი დარჩება მისი მეუღლე ვიქტორია ადამსიც. მადრიდში ამინდი და მაღაზიები მანჩესტერისას სჯობს, ამიტომ, როგორც კი აქაურობას დააგემოვნებენ, წასვლა აღარ მოუნდებათ“.

შეგახსენებთ, ბრაზილიელი მარცხენა მცველი მადრიდში უკვე შვიდი წელიწადია ცხოვრობს.

**პაპუნა ძიძია**



ანდრეი შევჩენკოს „მილანიდან“ წასვლაზე ლაპარაკი არ წყდება

# იხსნება შევა-ბაზარი

სატრანსფერო საქმეთა ჯადოქარი, „იუვენტუსის“ გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი რაღაც მილანელ ანდრეი შევჩენკოზე ალაპარაკდა ცუდად — ემანდ არ გადაიბიროს. მოჯიმ ამ დღეებში „გაძეტა დელო სპორტს“ მისცა ინტერვიუ, სადაც თქვა:

„შევჩენკოს ყიდვით ძალიან ბევრი კლუბია დაინტერესებული. ვიცი, „მილანი“ ამ გუნდს წლობით აშენებდა, მაგრამ შევჩენკოს ბევრგან ჩაუსაფრდნენ“.

მოჯი გახლავთ GEA-დ წოდებული სააგენტოს პატრონი და ეს სააგენტო უამრავ ფეხბურთელს წარმოადგენს, თუნდაც ალესანდრო ნესტას.

შევჩენკოთი მადრიდის „რეალი“ რომ იყო დაინტერესებული და 50 მილიონ დოლარს იხდიდა, საყოველთაოდ არის ცნობილი. უკრაინელის თავისთან წაყვანა და ჰოლანდიელ რუუდ ვან ნისტელროისთან შეწყვილება „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ სურს. ამასთან, დღე არ გავა, რომელიმე იტალიური გაზეთმა რომ არ დაწეროს, როგორ ნწუხობს შევჩენკო „შავ-წითელთა“ მწვრთნელთან, კარლო ანჩელოტისთან ან თანაგუნდელ ფილიპო ინძაგისთან. თუმცა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი თავდამსხმელის სადმე გადასვლის შესაძლებლობას სასტიკად უარობს:

„მოჯის“ ნათქვამში სინამდვილის მარცვალი არ არის. აქ მხოლოდ უნიადაგო ჰიპოთეზაა“.

მაგრამ, გნებავთ ჰიპოთეზა უწოდეთ და გნებავთ სხვა რამ, „ბარსელონაში“ საპრეზიდენტო არჩევნებში, შესაძლოა, მეტი ხმა იმან მოაგროვოს, ვინც ქომაგებს ანდრეი შევჩენკოს „კამპ ნოუზე“ გადაყვანას დაპირდება. გავრცელებული ცნობით, რომ „მილანის“ ოფისში კატალონიური კლუბის პრეზიდენტობის ხან ერთი კანდიდატი რეკავს, ხან მეორე.

**პაპუნა ძიძია**

# ფურთხი II

### როგორ გადარჩა სკიავონე წიხლქვეშ გაგდებას

**ლივერპულელი** ელ-ჰაჯი დიუფის ფურთხების ამბავი ვისაც გახსოვთ, შეგატყობინებთ, რომ სენეგალელი თავდამსხმელი თავის საქციელს არათუ ნანობს, არამედ ამბობს, რომ ვისაც მიადუფა, ქუჩაში რომ შეხვედროდა, სიამოვნებით სცემდა.

დიუფი უეფასგან ორი თამაშით, კლუბისგან კი ორი კვირის ხელფასით გახლავთ დასჯილი, მიფურთხებით კი გლაზგოში, „პარკჰედზე“ „სელტიკთან“ თამაშის დროს 18 წლის ქომაგს, მავან დომინიკ სკიავონეს უთავაზა. თუ აქ რაიმე მნიშვნელობა აქვს, შეგახსენებთ, რომ ორი შეხვედრის ჯამში, საერთო ანგარიშით 3:1 „სელტიკმა“ „ლივერპული“ უეფას თასიდან გააგდო.

რასაც ქვევით გთავაზობთ, შემფურთხებელმა დიუფმა მშობლიური სენეგალის გაზეთ „სუდ პოტიდიენს“ უამბო.

„ვიგრძენი, რომ თავს დამესხნენ და პასუხად მივაფურთხე. ერთი რამ ვიცი, მას იმის უფლება, რაც ჩაიდინა, არ ჰქონდა. ქუჩაში რომ შემთხვეოდა ასეთი ამბავი, დაუფიქრებლად გავიგდებდი წიხლქვეშ. იქ სტადიონზე კი შეფურთხებაზე მეტი ვერაფერი მოვიფიქრე. ალბათ, სჯობდა თავი შემეკავებინა, თუმცა არც „სელტიკის“ ქომაგებს უნდა გავეცეცხლებინეთ“.

რა მოხდა?

შეგახსენებთ: სკიავონემ აუტის ხაზს გადაცდენილ დიუფს, როგორც ახლა ამბობენ, მეგობრულად წაარტყა. პასუხად დიუფმა... თუმცა ნუღარ გავიმეორებთ. ის დავძინოთ, რომ „ლივერპულის“ ფრანგმა მწვრთნელმა, ჟერარ ულიემ როგორც კი ეს ამბავი დაინახა, სენეგალელი გამოცვალა. ცნობისთვის: „ლივერპულს“ და „სელტიკს“ ტრადიციულად კარგი ურთიერთობა აქვთ.



ელ-ჰაჯი დიუფი

**პაპუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე ვარ გაიძვერა?!





## ტოტის კანავარო შემოელანძღა

**ბიჭი ნახეთ,** როგორ გამწარებულა. მხოლოდ დედა არ უგინებია გარშემომყოფთათვის, ისე კი მუქარა, იცოცხლეთ, ჩამოარიგა. ფრანჩესკო ტოტიზე მოგახსენებთ. ის შარშანდელი ზაფხულის მერე კვლავ ნაკრებში მიიწვიეს. ჯოვანი ტრაპატონიმ ისევ უხმო, უხმო და ტოტიმაც პრესკონფერენციაზე ისე იხმაურა, კალმინ-მიკროფონიანები ერთურთს ასწრებდნენ.

მასმედიის გადამეტებულმა ყურადღებამ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩავარდნამ, ვილაც-ვილაცეებისგან კრიტიკამ და ქილიკმა ფრანჩესკო ტოტის ოხრად ბოღმა დაუგროვა და მანაც ამოანთხია: „საკმარისია! ყელში ამომივიდა. ცხვარივით რომ ვიქცეოდი, ყველა თავზე წამომაჯდა. მორჩა, ამიერიდან მგელი ვიქნები და ვინმეს ჩემზე თუ რამე გადაბრუნებული წამოსცდება, დედას ვფიცავარ, არ ვაპატიებ!" აი, ასე დაიწყო ფეხბურთელმა პრესკონფერენცია.

| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინოშვილ-ერისთავის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ª კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა № 15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა № 16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი № 11 | წმინდანების დასახლება |
| | სტალინის ქუჩა № 14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | აღმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | აღმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

# ჩემპიონები და თასის აღება

ჩემპიონები და თასი აღება

ჩემპიონთა თასი

8 აპრილი (23.45)

| | |
|---|---|
| 001 რეალი | 3,8 |
| 002 მანჩესტერი | 4,0 |
| 003 მილანი | 4,4 |
| 005 იუვენტუსი | 6,0 |
| 007 ინტერი | 6,0 |
| 006 ბარსელონა | 7.0 |
| 008 ვალენსია | 7,5 |
| 011 აიაქსი | 15,0 |

უეფას თასი

10 აპრილი (23.45)

| | |
|---|---|
| 021 ლაციო | 2,0 |
| 025 სელტიკი | 2,5 |
| 024 პორტუ | 4,2 |
| 034 ბოავიშტა | 7.0 |

ინგლისი. პრემიერლიგა

5 აპრილი (16.30)

| | |
|---|---|
| 051 არსენალი | 1,35 |
| 052 მანჩესტერი | 2,5 |
| 055 ნიუკასლი | 12,0 |

იტალია. სერია A

5 აპრილი (21.00)

| | |
|---|---|
| 063 იუვენტუსი | 1.7 |
| 062 ინტერი | 2,3 |
| 061 მილანი | 4.0 |

ესპანეთი. I დივიზიონი

5 აპრილი (22.00)

| | |
|---|---|
| 071 რეალი | 1,1 |
| 072 სოსიედადი | 3.5 |
| 074 დეპორტივო | 4,4 |
| 073 ვალენსია | 9.0 |

საფრანგეთი. I დივიზიონი

5 აპრილი (20.15)

| | |
|---|---|
| 082 ლიონი | 2,6 |
| 081 მარსელი | 2,6 |
| 083 მონაკო | 2,6 |
| 089 ბორდო | 3,5 |
| 088 ნანტი | 10,0 |
| 085 პსჟ | 10,0 |
| 084 ოსერი | 15,0 |
| 086 ნიცა | 30,0 |
| 087 ლანსი | 30,0 |

საბერძნეთი

I დივიზიონი

5 აპრილი (18.00)

| | |
|---|---|
| 121 ოლიმპიაკოსი | 1,7 |
| 122 პანათინაიკოსი | 1,7 |
| 124 აეკ | 12,0 |

ჩეხეთი

5 აპრილი (17.25)

| | |
|---|---|
| 191 სპარტა | 1,4 |
| 192 სლავია | 2,2 |

პოლონეთი.

5 აპრილი (18.00)

| | |
|---|---|
| 196 ვისლა | 1,2 |
| 197 ლეგია | 3,0 |
| 198 კატოვიცე | 5,0 |
| 199 ოდრა | 7,0 |

თურქეთი

I ლიგა

4 აპრილი (22.00)

| | |
|---|---|
| 132 ბეშიქთაში | 1,35 |
| 131 გალათასარაი | 2,5 |

შოტლანდია

პრემიერლიგა

5 აპრილი (19.00)

| | |
|---|---|
| 141 რეინჯერსი | 1,5 |
| 142 სელტიკი | 2,0 |

დანია

სუპერლიგა

5 აპრილი (20.00)

| | |
|---|---|
| 151 კოპენჰაგენი | 1,1 |
| 152 ბრიონდბიუ | 3,5 |

შვეიცარია. A ლიგა

6 აპრილი (19.15)

| | |
|---|---|
| 162 გრასჰოპერი 1,3 | |
| 161 ბაზელი | 2,6 |

ჰოკეი. NHL

სტენლის თასი

7 აპრილი (23.45)

| | |
|---|---|
| 201 დეტროიტი | 4,0 |
| 202 დალასი | 4,0 |
| 207 ოტავა | 5,0 |
| 203 ფილადელფია | 6,0 |
| 205 ნიუ ჯერსი | 6,0 |
| 206 კოლორადო | 6,5 |
| 208 ვანკუვერი | 7,0 |
| 209 სენტ ლუისი | 10,0 |
| 212 ტორონტო | 10,0 |
| 210 ტამპა ბეი | 20,0 |
| 215 ვაშინგტონი | 20,0 |
| 211 მინესოტა | 25,0 |
| 204 ბოსტონი | 50,0 |
| 224 აილენდერსი | 50,0 |
| 218 ანაჰაიმი | 50,0 |
| 221 ედმონტონი | 50,0 |
| 214 ლოს ანჯელესი | 75,0 |
| 217 მონრეალი | 75,0 |
| 222 რეინჯერსი | 75,0 |
| 220 ჩიკაგო | 100,0 |
| 223 ფლორიდა | 100,0 |
| 225 ფინიქსი | 100,0 |
| 230 ნეშვილი | 200,0 |

კალათბურთი

NBA. თასი

17 აპრილი (23.45)

| | |
|---|---|
| 231 დალასი | 3,0 |
| 232 საკრამენტო | 3,0 |
| 233 ლეიკერსი | 3,0 |
| 236 სან ანტონიო | 5,0 |
| 234 ნიუ ჯერსი | 12,0 |
| 235 ინდიანა | 12,0 |
| 237 ფილადელფია | 15,0 |
| 238 ბოსტონი | 30,0 |
| 241 დეტროიტი | 12,0 |
| 242 პორტლენდი | 12,0 |
| 244 მინესოტა | 30,0 |
| 239 ორლანდო | 50,0 |
| 240 ნიუ ორლეანი | 50,0 |
| 243 ჰიუსტონი | 50,0 |
| 247 მილუოკი | 50,0 |
| 248 იუტა | 50,0 |
| 246 ფინიქსი | 75,0 |
| 250 ვაშინგტონი | 100,0 |
| 252 ნიუ იორკი | 200,0 |
| 256 გოლდენ სტ. | 500,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ბრაიკოვიჩი? მოსულა
## აჭრთა ნაკრები ნაკრებისგან

· ცნობილი ამბავია, საქართველოს ისე არ უჭირს ნიჭიერი სპორტსმენები, როგორც მათი ნიჭის სათანადოდ გამომყენებელი მწვრთნელები. ეს საკითხი უფრო მწვავედ სათამაშო სახეობებში დგას და ამიტომაც გვყავს რაგბის ფრანგი მესაჭე, ადრეც იყო და ახლაც ეშურებიან უცხოელი საფეხბურთო ნინამძღოლის მოწვევას, კალათბურთი კი აგერ, ორი დღის წინ ჩააბერს ხორვატს... დრაჟენ ბრაიკოვიჩი ხმაურით შემოიჭრა ქართულ კალათბურთში, ჩაიბარა ეროვნული ნაკრები, თბილისის „დინამო" და გახდა ფედერაციის ტექნიკური დირექტორი. მალე გამოჩნდება, თუ რა შეუძლია მას, მანამდე კი მასზე და ნაკრებზე ნაკრების სავარაუდო კანდიდატები საუბრობენ



დრაჟენ ბრაიკოვიჩმა ნაკრების კანდიდატებიდან პირველი კოტე ტულუში გაიცნო

[illegible] ფოტო

**კოტე ტულუში:** უცხოელ მწვრთნელს, ცხადია, [illegible] გი ექნება. დრაჟენ [illegible] როპაში ნამუშევარი კაცია და, მგონი, უკეთ უნდა იცოდეს კალათბურთის ავანჩავანი. ნაკრებში ის ალბათ მთელ სისტემას გამოცვლის, უფრო სწორად, ახალს შექმნის. ქართველი მწვრთნელებისთვის დიდი სტიმული იქნება ხორვატი სპეციალისტის გვერდზე მუშაობა, ბევრ სასიკეთოს ისწავლიან და ეს ისევ ჩვენს ქვეყანას გამოადგება. ცნობილია, რომ ჩვენს ნაკრებს გამთამაშებელი უჭირს. ბრაიკოვიჩი ეცდება ამ პრობლემას მოგვარებას, ყოველ შემთხვევაში, ის ამ პოზიციაზე ყველაზე ღირსეულს შეარჩევს.



**ვლადიმერ ბოისა:** დაახლოებით ერთი თვის წინ ვიცოდი, რომ საქართველოს ნაკრებს მწვრთნელად დრაჟენ ბრაიკოვიჩს დაუნიშნავდნენ. მე მას არ ვიცნობ, თუმც როცა ის ხორვატიულ „რიეკას" წვრთნიდა, მისი გუნდის წინააღმდეგ მითამაშია. ეს შარშან იყო, „რიეკას" ორჯერ ვძლიეთ ადრიატიკის ლიგაში, ბრაიკოვიჩისთვის კი განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. მისი მოწაფეა ჩემი თანაგუნდელი, „ოლიმპიას" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე მარიან ბაზდარიჩი. სწორედ მისგან შევიტყვე რომ ბრაიკოვიჩს საქართველოს ნაკრების მწვრთნელად უპირებდნენ დანიშვნას. ბაზდარიჩი ძალიან დადებითად ახასიათებს ბრაიკოვიჩს, ამბობს, მისი დამსახურებაა, ახლა „ოლიმპიას" ხუთეულში რომ ვთამაშობო.

თავად ის, რომ ჩვენს ნაკრებს უცხოელი გაწვრთნის, უდავოდ მისასალმებელი ფაქტია. სიმართლე გითხრათ, მე სწორედ ამის იმედი მქონდა. მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრებს მხოლოდ უცხოელის თავკაცობით შეუძლია წარმატების მიღწევა, იქნება ეს ბრაიკოვიჩი თუ ვინმე სხვა.



**ვლადიმერ სტეფანია:** არ ვიცნობ ახალ მწვრთნელს, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, დიდი სამუშაოს ჩატარება მოუწევს. შეკრება და რამდენიმე თამაში აუცილებელია გუნდის შესაკვრელად. სირცხვილია, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მივაღწიოთ რაღაცას და ამოვიდეთ ამ ჭაობიდან.

ევროპის ჩემპიონატზე გასვლაზე რა გითხრათ, ახლა ძნელია თქმა, თუკი უძლიერესი შემადგენლობით შევიკრიბებით, ალბათ შესაძლებელი იქნება. ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსებს ორმოცდაათი-ორმოცდაათზე შევაფასებდი. გააჩნია, როგორ ჯგუფში მოვხვდებით. თუ მეტოქედ იუგოსლავია, ხორვატია და იტალია შეგვხვდნენ, მაშინ გაგვიჭირდება. საშუალო სიძლიერის ჯგუფიდან კი ალბათ მოვახერხებთ გასვლას, მთავარია, გუნდი შეიკრას და შეთამაშდეს. შესარჩევი ეტაპი თუ ზაფხულში იქნება, ჩამოვალ. ისე, მომავალ ზაფხულამდე მგონი არც იქნება ოფიციალური თამაშები და ახლა ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა.



**ზაზა ფაჩულია:** გამიგია, რომ დრაჟენ ბრაიკოვიჩი კარგი მწვრთნელია. ის დიდ ცვლილებებს შეიტანს როგორც ეროვნულ ნაკრებში, ისე ჩემპიონატშიც. „დინამოს" მწვრთნელად დანიშვნა უდავოდ შეეშველება ბრაიკოვიჩს, იგი ბევრ კალათბურთელს გამოსცდის სანაკრებოდ. ვფიქრობ, მწვრთნელის მხრივ პრობლემა აღარ გვექნება, დანარჩენი ფინანსებზე, ფედერაციაზეა დამოკიდებული. სტეფანიას ნაკრებში ჩამოყვანის საქმეში ახალი მწვრთნელი დახმარებას კი შეგვპირდა, მაგრამ თუ პრინციპული თამაშები არ გვექნა, მგონი, არა ღირს ვოვას შეწუხება. სტეფანია არაა ბავშვი, ყოველ მატჩში რომ გამოიძახო, ის უძლიერესი ქართველი კალათბურთელია და უნდა მოვუფრთხილდეთ. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება, ერთი სული მაქვს, ნაკრები შეიკრიბოს.



**რამაზ გოგოლაშვილი:** მოხარული ვარ, რომ ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი დაუნიშნეს. რახან ჩამოიყვანეს, ალბათ ესმის კალათბურთი. იგი არა მარტო ნაკრებს, მთლიანად ქართულ კალათბურთის დაეხმარება, მწვრთნელთა კლასის ამაღლებას შეუწყობს ხელს. ჩვენი ნაკრები მეტ წარმატებას მიაღწევს ბრაიკოვიჩის ხელმძღვანელობით, მაგრამ იმასაც ვიტყვი, აქამდე რომ ოპტიმალური შემადგენლობა შეგვეკრიბა, ევროპის ფინალურ ეტაპზე გასვლა შესაძლებელი იყო. გვერდშიც მჭიდროდ ხალხი უდგას, ზურაბ ტომარაძე და დავით უსტიაშვილი ბრაიკოვიჩს დიდ დახმარებას გაუწევენ ძლიერი ნაკრების შეკვრაში. მერე კი ხორვატმა საქმით უნდა დაგვიმტკიცოს თავისი შესაძლებლობები.



**დავით უგრეხელიძე:** „სლოვანში" თამაშისას დრაჟენ ბრაიკოვიჩის „რიეკას" ორჯერ ვეთამაშე, ერთხელ დავმარცხდით, ერთხელაც მოვუგეთ. ვიცი, რომ ბრაიკოვიჩს გარკვეული წარმატებები ჰქონდა „რიეკაში" და იქაურები ახლაც იხსენებენ მის ღვაწლს. საქართველოს ნაკრებში რას იზამს, ძნელი სათქმელია. მან ჯერ მხოლოდ კონტრაქტს მოაწერა ხელი. ისე კი, არა მგონია, პრობლემები შექმნას. ნაკრებში მუშაობის პრაქტიკა ბრაიკოვიჩს საკმარისად აქვს. ხორვატიის ნაკრებში ის დიდ გამოცდილებას შეიძენდა. ვფიქრობ, ტაქტიკურად გამართულ კალათბურთს ათამაშებს ჩვენს ნაკრებს, შემსრულებლებს კი, მგონი, არ ვუჩივით.

**NBA რეგულარული ჩემპიონატი**

# იმუშავეთ და გათამაშებთ!
## როდის დავაქკაცდებიან ბზდელიკის ბიჭები?

— 26 მარტი —

**დენვერი 108:103 მილუოკი**

**დენვერი:** უილიამსი (16), ვაიტი (21), **ცქიტიშვილი** (21 წუთი, 9 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი), ჰოვარდი (25 ქულა, 11 მოხსნა), ილარიო (10); ჰარვი (13), კემბი (10 ქულა, 15 მოხსნა), ჰარინგტონი (3), სავოვიჩი (1), ანდერსენი

**მილუოკი:** პეიტონი (28 ქულა, 11 პასი), კასელი (23), დ. მეისონი (20), ტომასი, პრჟიბილა (2); რედი (27), კუკოჩი (2), ჰეისლიფი (1), ე. მეისონი

**ჩიკაგო 82:74 მაიამი**

**ჩიკაგო:** კროუფორდი (17), როუზი (19), რობინსონი (4), ჩანდლერი (7 ქულა, 16 მოხსნა), კარი (12); მარშალი (10), უილიამსი (5), ჰასელი (4), ბლუნტი (2), ბრანსონი (2)

**მაიამი:** კარტერი (8), რ. ბატლერი (7), კ. ბატლერი (16), ალენი (6), გრანტი (6); ჰაუსი (15), ლემბლი (10), **სტეფანია** (19 წუთი, 3 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა), ბესტი (3), ელისი

**ინდიანა 85:91 ფილადელფია**

**ჰიუსტონი 93:96 ლეიკერსი**

**ნიუ ორლეანი 95:97 ორლანდო**

**სიეტლი 74:80 ვაშინგტონი**

**იუტა 94:85 პორტლენდი**

**კლიპერსი 107:114 დალასი**

**ბოსტონი 95:107 გოლდენ სტეიტი**

**მემფისი 99:101 ფინიქსი**

**ტორონტო 89:83 კლივლენდი**

**დეტროიტი 102:99 ატლანტა**

ძირითადი დრო 93:93

**ნიუ ჯერსი 101:95 ნიუ იორკი**

ყველა მატჩში ასე რომ ებურთავათ, დენვერელი ჭაბუკები პლეი ოფში მოხვდებოდნენ და იქაც ვიღაცას ყელში გაეჩხირებოდნენ. დიდი ტბების ნაპირებიდან კლდოვან მთებში იოლი გამარჯვებისთვის ასული „მილუოკი ბაქსი" დამხვდური „ნაგიტსისგან" მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. თუმცა უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, სტუმრები ეწინააღმდეგებოდნენ მასპინძლებსო.

„დენვერის" ქართველმა იმედმა ნიკა ცქიტიშვილმა კვლავ დამწყებ ხუთეულში ითამაშა და საკმაოდ საშუალოდაც. მისი მონაგარია 9 ქულა და ცოტაოდენი მოხსნა-პასები. ნიკა თავისიანებს ახალგაზრდული შემართებით და ენერგიით მიეშველა აღმოსავლელი მომხდურის ძლევაში. იმ საღამოს სხვა დენვერელებიც იშვიათი სიჩაუქით ბურთაობდნენ. ცქიტიშვილის, ილარიოს, ვაიტის, შემონდ უილიამსისა და „ნაგიტსის" სხვა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ერთად თამაშს აგერ, ხუთი თვეა, სწავლობენ, ეს შეხვედრა კარგი ვარჯიში იყო.

„ბიჭებს სულ იმას ჩავჩიჩინებ, რომ საჭიროა მუდმივი მუშაობა და ძლიერ მეტოქეებთან ბოლომდე შეწინააღმდეგება. ჩვენ გვჭირდება გამოცდილება, რათა მომავალ სეზონში თავად ვიქცეთ ძლიერებად და რაიმე ღირებულს მივაღწიოთ" — ამბობს ჯეფ ბზდელიკი, „დენვერის" მეთაური.

ბზდელიკი, როგორც ყოველთვის, ყოჩაღად გამოიყურებოდა. აი, მის მილუოკელ ოპონენტ ჯორჯ კარლს კი წესით ნირი უნდა წახდომოდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ „მილუოკი" ამ მარცხის შემდეგ აღმოსავლელ მეპლეიოფეთა სიიდან ამოვარდა, კარლი მაინც ინარჩუნებს მხნეობას. „ჯერ არაფერია დაკარგული. ჩვენ უნდა მოვიგოთ ყველა შინაური და ერთი-ორი საგარეო თამაში და ყველაფერი დალაგდება." ამის მთქმელ კარლს იქნება ავიწყდება, რომ მისი გუნდისთვის დაგეგმილი გამარჯვებების მოპოვება მის ქვეყანაში გადასახადების აკრეფასავით იოლი არაა.

ამიერიდან „მილუოკის" აღარავინ ამოასუნთქებს. კარლის გუნდის მთავარი კონკურენტი, „ვაშინგტონ ვიზარდსი", შესანიშნავ ფორმაშია და შეუპოვრად იბრძვის მეპლეიოფე რვეულში ადგილის დასამკვიდრებლად. ახლაც მაიკლ ჯორდანის გუნდმა სიეტლში ურთულესი გასვლა მოიგო და „მილუოკის" გაასწრო. თავად ჯორდანი, ვისაც კალათბურთიდან წასვლამდე ჰა-ჰა კიდევ 20 თამაშის ჩატარება მოუწევს, ჩვეულად, მარჯვედ გაისარჯა და 26 ქულა გააკეთა. თან 10 მოხსნაც გამოიმუშავა მიუხედავად იმისა, რომ მუხლში ძველებურად ვერ მოსდევს ძალა. ჯერი სტეკჰაუზთან ერთად მაიკლი საუკეთესო იყო მოედანზე და ოდეს მის გუნდს დასჭირდა, მაშინ იჩუბინა, ბოლო მეოთხედის საკვანძო მონაკვეთში „სიეტლს" ზედიზედ სამი ბურთი ჩაუგდო და გატეხა მასპინძელი.

**კოტე ყორშია**



ნიკა ცქიტიშვილს სიეტლელმა დესმონდ მეისონმა ჩაუფრინა

REUTERS



REUTERS მაიამიდან

ჯენიფერ კაპრიატი



ჩანდა რუბინი

# იმ დღეს მაიამი მოიამი იყო

**NASDAQ-100 OPEN**

**კი ბისკეინი. მაგარსაფარი კაცები**

**საპრიზო 3,25 მილიონი $**

**მეოთხედფინალი**

**კარლოს მოია (5, ესპანეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:7 (5:7), 6:3, 7:6 (7:4); პარადორნ შრიჩაფანი (13, ტაილანდი) ტოდ მარტინი (აშშ) 6:3, 6:7 (5:7), 7:5**

კარლოს მოია კარიერის პირველ კიბისკეინურ ნახევარფინალში გავიდა. საამისოდ მას [illegible] მძიმე 20 წლის ამერიკელ რობი ჯინეპრისთან სამსეტიანი ბრძოლის გადატანა და ამ ბრძოლაში მთელი თავისი ოსტატობის [illegible] გამოყენება მოუხდა.

პირველ სეტში ნადავლი ესპანელი 4:1 იგებდა, მაგრამ მერე სიდინჯე მოუშვა და მეტოქეს წამოწევის საშუალება მისცა [illegible] მოია კვლავ წინ გაიჭრა და ჯერ 5:0 დაწინაურდა, ხოლო მერე — 5:2. მაგრამ ჭაბუკი იანკი, ვინაც თავის ზედიზედ მეორე სამასტერსტურნირო მეოთხედფინალში თამაშობდა, არ გატეხილა და — მოჯრით [illegible] ქალის მიმთვლელმა — სეტი დახვეწილი ამბავით მოიგო.

საპირველსეტო წარუმატებლობას მოია არ აუღელვებია, მან მეთოდურად განაგრძო უკანა ხაზიდან ხათქუნი და მეორე სეტი [illegible] ჩაამთავრა.

ფეცხელი [illegible] გადამწყვეტ სეტში განახლდა, როცა მოიამა და ჯინეპრიმ ერთმანეთის მიწოდებები გაუტეხეს და ისევ ტაიბრეიკამდე მივიდნენ. ამ ტაიბრეიკში კი ყველაფერი პირველის საწინააღმდეგოდ წარიმართა — ამერიკელი 4:2 იგებდა და ალგილობრივ მილეთსაც ის იყო, იმედი მიეცა, მოიამ მატჩის შეტორტმანებული სასწორის სათავისოდ მიზიდვა და ზედიზედ ხუთი ქულის მოქუჩება რომ შეძლო...

მოია: „მძიმე მატჩი იყო. ვფიქრობ, მე კიდევ უფრო დავამძიმე. პირველი ტაიბრეიკი არ უნდა წამეგო და მაშინ ყველაფერს უფრო უშრომელად მოვიგვარებდი. მაგრამ რობიც უნდა შევაქო. ჩაუქი ბიჭი ყოფილა. რიგიანი მოწოდება აქვს და გალმა საკმარისად ვერ ვუდგავ... ერთი ეგ არის, გადამწყვეტ ქულებზე საომრად ჯერ გამოცდილება არ ჰყოფნის. მე კი სწორედ ასეთ მომენტებში მობილიზებისა და ლარაზმვის უნარმა მიშველა, თორემ — თქვენც შეატყობდით — დღეს ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი არ მითამაშია."

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელი ესპანელი, ვინაც მაიამის ნახევარფინალში ითამაშა, ფრანსისკო კლავეტი გახლდათ. ეს 1999 წელს მოხდა. თუკი მოია ფინალამდეც გააღწევს, სერხი ბრუგერას შემდეგ ამის გამკეთებელ პირველ ესპანელად იქცევა. ბრუგერამ ეს 1997 წელს იკისრა, როცა — ფინალში გასული — გაუტეხელ ავსტრიელ ტომას მუსტერთან დამარცხდა.

ნახევარფინალში კი მოიას ტაილანდელი პარადორნ შრიჩაფანი გადაეყრება, რომელმაც იმ დღეს თმაშევერცხლილი და უდროოდ შეჭარმაგებული ტოდ მარტინი გაამჯვა.

პარადორნს მატჩამდე წინა სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული კაცმეჩოგნისთვის დათქმული ჯილდო გადასცეს და მანაც უმალვე ცხადყო, რომ გაუმჯობესება ჯერაც არ შეუწყვეტია.

ეს მისი და მარტინის მესამე შეხლა იყო და ამერიკელის ფანები იმედოვნებდნენ, რომ წინა ორის დარად ესეც მათიანის გამარჯვებით დასრულდებოდა.

ვერ მოგვერთვა. მარტინმა ჩინებულად იბურთავა, მაგრამ ტაილანდელის შარშანდლისებურად ბასრი ჩოგნაობის წინააღმდეგ მაინც ვერაფერი გააწყო.

პარადორნი მეორედ გავიდა რაგინდარა მასტერსნახევარფინალში და საფინალო საგზურისთვის იქ პირველად შეერკინება კარლოს მოიას.



REUTERS მაიამიდან

დღეს, გამთენიისას სერენა უილიამსმა ნახევარფინალში 6:4, 6:2 სძლია კიმ კლაისტერსს და კი ბისკეინიდან გააგდო

**ქალები**

**საპრიზო 2,96 მილიონი $**

**მეოთხედფინალი**

**ჩანდა რუბინი (12, აშშ) — ჟუსტინ ენენ-არდენი (4, ბელგია) 6:3, 6:2; ჯენიფერ კაპრიატი (6, აშშ) — მეგან შონესი (23, აშშ) 4:6, 7:6 (7:5), 6:4**

მეოთხე ნომრად განთესილ ცილა ბელგიელ ენენ-არდენს მასსავით ჩია ჩანდა რუბინი იმ დღეს ძალზედ იოლად მოერია. თავის მეორე საამსეზონო ნახევარფინალში მოსახვედრად ჩანდას მხოლოდ საათი და რვა წუთი დასჭირდა.

26 წლის შავგოგომ, რომელიც 1996 წლის ოქტომბრის მერე პირველად ალზევდა ქალთა ზეათეულში, ბელგიელ მეტოქეს 18 საქულე დარტყმა გადაუჭირა, ხუთი მოწოდება გაუტეხა (მაშინ როცა თავად მხოლოდ თავისი ორი გეიმი დაუთმო) და ზედაც 22-ჯერ უნებლიეთ მიაქარვინა.

ნახევარფინალში რუბინი შარშანდელ ფინალში სერენა, ხოლო შარშანწინდელში ვინუს უილიამსისგან ძლეულ ჯენი კაპრიატს შეხვდება.

ჯენის იმ დღეს ძალზედ მძიმე ბრძოლა გადახდა. კნაჭა მეგენ შონესი, ვინაც წინა წრიდან უფროსი შავდა, მაიამის სამგზის ჩემპიონი ვინუსი გააბუნძურა, ჩოგნის დაშალითებას არც მეოთხედფინალში გეგმავდა. სამგზის მესლემტიტულე თვისტომს ის პირველი გეიმებიდანვე ისეთი გააფთრებით ეძგერა, რომ საქმეს მორიგი სენსაციის ქოთი აუვიდა...

მაგრამ ბითურად ჩავლავება არც ჯენის სურდა და ამიტომ მათი შეხლა საამოდ საცქერ ხათქა-ხუთქში გადაიზარდა.

შონესის 9 ეისის წილ ჯენიმ ვერც ერთი გამჭოლი მოწოდება ვერ გაჩარხა, მაგრამ სანაცვლოდ მასზე მეტი საქულე ბურთი დააგლაჯუნა (29-24) და ნაკლები შეცდომა დაუშვა (41-48).

მატჩმა ორსაათნახევარს გასტანა და კაპრიატი წლეულს მესამე ნახევარფინალში გავიდა. წინა ორი მცდელობისას პირველად ის დუბაიში ენენ-არდენისგან იძლია, ხოლო ინდიან უელსში მას ლინდსი დევენპორტმა აჯობა.

შეგახსენებთ, რომ ჯენის 2002 წლის ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ ერთი ქეციანი ტიტულიც აღარ რგებია.

რაც შეეხება რუბინს, 1996 წელს კიბისკეინურ ფინალში გასვლის შემდეგ მან ორი ოპერაცია გადაიტანა მუხლზე, ხოლო ერთიც — მაჯაზე, რის გამოც დიდი ხნის მანძილზე ვერ თამაშობდა და 2001 წელს ზე-50-ეულიდანაც ჩასრიალდა. ჩია ჩანდამ საკარიერო კალაპოტში ჩაბრუნება შარშან ორი ტიტულის მოგებით მოახერხა და ახლაც ძალზედ საიმედოდ ირჯება.

მან და ჯენიმ ბოლოჯერ 2000 წელს ითამაშეს. მაშინდელი ორი მატჩი ჩანდას გამარჯვებით დასრულდა, ოღონდ იმ დროისთვის ჯენი ჯერ კიდევ ზეპური ამქრის მიღმა იდგა — მისი „დაბრუნება" მომდევნო სეზონში დაიწყო.

**ლევან ძელაურაძე**



# მწვერვალები საიუბილეოდ გამზადებულან მთამსვლელები ჩემოდნებზე სხედან

*ნახევარი საუკუნის წინათ ადამიანებმა პირველად დაიმორჩილეს სიკვდილის მთად წოდებული, დასავლეთ ჰიმალაიზე აღმართული რვაათასიანი ნანგა პარბატი (8126 მ), რამდენიმე დღის მერე კი ცენტრალურ ჰიმალაიზე აყუდებული დედამიწის კენწეროდანაც, ჯომოლუნგმადანაც (8848 მ) გადმოიხედეს. ნანგა პარბატისა და ჯომოლუნგმას (იგივე ევერესტი, საგარმტხა) დალაშქვრა მაშინ უდიდესი მოვლენა იყო. მათზე ასვლა ჩრდილო და სამხრეთ პოლუსების დაპყრობას შეადარეს, მით უმეტეს, რომ ეს ორივე მწვერვალი და პოლუსი მრავალწლიანი იერიშების, ტრაგედიებისა და ადამიანთა დიდი მსხვერპლის მერე დანებდა მთამსვლელებს*

ნანგა პარბატისა და ჯომოლუნგმას დალაშქვრიდან ნახევარსაუკუნოვანი თარიღი ამ გაზაფხულზე მრგვალდება, შემოდგომაზე კი 80 წელი სრულდება მას მერე, რაც გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით თვრამეტმა ახალგაზრდამ სათავე დაუდო მთელს საბჭოთა ალპინიზმს და ეს ამბავი, ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა დიდმნიშვნელოვანი იყო ქართული მთამსვლელობისთვის.

ჩვენი მთამსვლელები ამ თარიღს თავის დროზე აღნიშნავენ და არც დედამიწის უმაღლესი მწვერვალისა და მრისხანე ნანგა პარბატის დამორჩილების საიუბილეო დღეებს დააკლდებიან. ყოველ შემთხვევაში, მათგან ორნი ჩემოდნებზე სხედან და ამ დღეებში ერთმანეთის მიყოლებით გზას გაუდგებიან.

ეს ორნი ბიძინა გუჯაბიძე და გია თორთლაძე გახლავან, რომელთაგან პირველს სამხრეთიდან დაულაშქრავს დედამიწის სახურავი, მეორეს — ჩრდილოეთიდან და რაკი გუჯაბიძე თორთლაძეზე რამდენიმე დღით ადრე აპირებს გამგზავრებას, თავდაპირველად მას გავესაუბრეთ.

**— ჯომოლუნგმა თქვენთვის უკვე განვლილი გზაა. ამიტომ მეგონა, თუ ისევ ჰიმალაია, ბიძინა ალბათ, სხვა რვაათასიანს ამოირჩევს-მეთქი. მით უმეტეს, ამგვარ კოლექციაში თქვენ ლჰოცზეც მიგითვლიათ.**

— სამწუხაროდ, ასარჩევად არა გვაქვს საქმე. ქართველ მთამსვლელებს რომელ ექსპედიციაში მოხვედრის შანსიც გამოგვიჩნდება, იქით მივდივართ. ამ შანსს ფინანსები და გუნდის წევრთა ვინაობა განაპირობებს.

**— მაინც, ხომ არ ჯობდა, თანხა სხვა რვაათასიანისთვის შემოგენახათ?**

— ჯერ ერთი, შემონანახიც არა მაქვს. საექსპედიციოდ კვირას მივემგზავრები, ჩემი დაფინანსების საკითხი და სხვა პრობლემები კი ჯერაც გადაუჭრელია, მაგრამ ვიმედოვნებ, ყველაფერი ბოლო წუთს მოგვარდება, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. რაც შეეხება ჯომოლუნგმაზე მეორედ ასვლას, ეს არც მესამედ მომბეზრდება და არც მეოთხედ, რადგან რაც უნდა იყოს, იგი დედამიწის უმაღლესი მწვერვალია, ამიტომაც მასზე თორმეტჯერ ავიდა შერპი აპა შერპა და თორმეტჯერვე — სამხრეთიდან. მე ახლა იქ ჩრდილოეთიდან მინდა ასვლა, რაც აქამდე არ მიცდია და საერთოდ იქით არც ვყოფილვარ, სამხრეთიდან კი პირველივე ცდაზე გამიმართლა. ისე, ერთი და იგივე მარშრუტი რამდენჯერაც უნდა გაიარო, ყოველი ასვლა მაინც განსხვავდება. მით უმეტეს, ჩრდილოეთიდან ლაშქრობა განსხვავებული იქნება. თუ მიზანს მივაღწევ, საქართველოდან მე ვიქნები პირველი, ვინც ჯომოლუნგმა ორივე მხრიდან დალაშქრა.

**— ვისთან ერთად აპირებთ ასვლას?**

— რუსებს ჰყავთ ერთი ასეთი გუნდი — „ალპინდუსტრია". სწორედ მათი თორმეტკაციანი გუნდი აპირებს ჯომოლუნგმაზე ჩრდილოეთიდან ლაშქრობას. მე კარგად ვიცნობ ამ გუნდის ორ წევრს, დიმა მოსკალიოვსა და საშა აბრამოვს, რომლებიც ძლიერი მთამსვლელები არიან. მათ იცოდნენ, რომ ჯომოლუნგმაზე ჩრდილოეთიდანაც მინდოდა ასვლა და შემომეხმიანნენ. ამ ექსპედიციის წევრებს მოსკოვში დღეს თავისებური პრეზენტაცია აქვთ, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვესწრები, კვირას კი შევუერთდები.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ბიძინა გუჯაბიძე ჯომოლუნგმას დალაშქვრას ახლა ჩრდილოეთიდან აპირებს

ევროპის ერთა თასი. მეხუთე ტური

## საქართველო — რუმინეთი

30 მარტი. თბილისი «ეროვნული» 15 საათი



2000 წლის 2 აპრილი. საქართველო — რუმინეთი
ზურაბ მჭედლიშვილი ტუდორ კონსტანტინეს გაეკიდა

# პანკრას იმედი

## რუსეთი პორტუგალიას არ დაუწვება

## ბორჯღალოსნებს გოლიათების არ ეშინიათ

**მცხეთაში** შეკრებილი საქართველოს ნაკრები, 30 მარტს რუმინეთთან გასამართი მატჩისთვის მზადებას განაგრძობს. გუშინ დილით, ბორჯღალოსნებმა საგურამოში ივარჯიშეს, საღამოს კი ფიზიკურ წვრთნას თეორიული მეცადინეობა ამჯობინეს. ასე გადაწყვიტა ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა. საღამოს ჩვენებს რუმინელთა მატჩების ვიდეოფირი უნდა ენახათ, მაგრამ ეს საქმე სადღეისოდ გადადეს. ძველი ამბავია, რომ რუმინეთთან ვერ ითამაშებს ლევან ცაბაძე, რომელსაც მუხლში წყალი აქვს ჩამდგარი და შეიძლება საოპერაციოც გახდეს. სამაგიეროდ სარაგბო საძმოს დაუბრუნდნენ აქვსენტი და ირაკლი გიორგაძეები, რომლებმაც სამშაბათს მამა დაკრძალეს.

ბორჯღალოსანთა სარუმინეთო სამზადისზე და მომავალი მატჩის თაობაზე გუშინ საქართველოს ნაკრების ვეტერანს და ყოფილ კაპიტანს, სარაგბო თემში „პანკრაშკინად" ცნობილ ზურაბ მჭედლიშვილს გავესაუბრეთ...

— განსაკუთრებული არაფერი, ჩვეულებრივი რეჟიმით ვემზადებით. ცხადია, კარგად გვესმის ამ მატჩის მნიშვნელობა და მონდომებითაც ვვარჯიშობთ. ვინც შეკრებაზე ვართ, სერიოზული ტრავმა არავის გვაწუხებს.

**— დღეს რუმინეთის თამაში უნდა გაგერჩიათ, მაგრამ ხვალისთვის გადაიტანეთ, რატომ?**

— სორელმა კრებასავით მოაწყო და მომავალ მატჩზე ვისაუბრეთ. ყველამ თავისი აზრი თქვა, თუ როგორ უნდა დავამარცხოთ რუმინეთი. კიდევ ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. ასეთი კრებები ხშირად გვაქვს ხოლმე.

**— სორელი სარუმინეთო ტაქტიკაზეც ისაუბრებდა...**

— რა თქმა უნდა, ოღონდ საბოლოო დავალებებს ალბათ ხვალ მოგვცემს, როცა რუმინეთის თამაშებს ვნახავთ და გავარჩევთ. ისე კი, ტაქტიკა ზოგადად ასეთი იქნება — მეტოქის ნახევარზე ბურთის ფეხით გადატანა და შემდეგ მათ ტერიტორიაზე ბრძოლა.

**— რით ჯობიხართ დღეს რუმინეთს? რით გჯობიათ რუმინეთი?**

— სიძლიერით ორივე ტოლსწორი გუნდები ვართ. ოღონდ რუმინეთი უფრო გამოცდილია.

**— თქვენ არ ხართ გამოცდილები?**

— არა, იმის თქმა არ მინდა, რომ ახალბედები ვართ, უბრალოდ რუმინეთი გვჯობნის სარაგბო ტრადიციებით და მეურნეობით. ჩვენი ინფორმაციით, რუმინულ რაგბის საფრანგეთის რაგბის ფედერაცია ლობირებს. მგონი რუმინელთა ფრანგ მწვრთნელ ბერნარ შარეირსაც ხელფასს ფრანგები უხდიან.

**— რუმინეთი თბილისში რამდენიმე ძირითადი მორაგბის გარეშე ჩამოვა, თანაც შეიძლება ვერ ითამაშოს მათმა ლიდერმა პეტრე მიტუმ. ეს ფაქტორი თქვენს შანსებს ალბათ ერთიორად ზრდის...**

— არც ასეა. რუმინეთში ყოველთვის მოიძებნება კარგი მორაგბე და სრულფასოვანი რეზერვის პოვნა ნაღდად არ გაუჭირდებათ.

**— გამორიცხული არაა, საგანგებოდ თქვენთან სათამაშოდ რუმინელებმა ნაკრებში მეორედ დააბრუნონ გოლიათი ტუდორ კონსტანტინი. ასე მოიქცნენ შარშანაც და კონსტანტინიც ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე იყო მაშინდელ მატჩში.**

— ვინც უნდათ, ის დააბრუნონ, მნიშვნელობა არ აქვს რა გაბარიტების და გაქანების კაცს დაიმატებენ. ჩვენ არავისი არ გვეშინია.

**— შანსებს როგორ აფასებ?**

— საერთოდ, არ მიყვარს წინასწარ ლაპარაკი, მაგრამ მაინც ვიტყვი — იმის გათვალისწინებით, რომ შინ ვთამაშობთ, შანსები სამოცი-ორმოცზეა ჩვენს სასარგებლოდ.

**— ერთიცაა, როგორც არ უნდა დამთავრდეს რუმინელებთან თქვენი ჯახი, ყველაფერი რუსეთ-პორტუგალიის მატჩის შედეგზეა დამოკიდებული. თუ რუსეთმა შინ პორტუგალიას ვერ მოუგო, მაშინ ერთა თასის მფლობელი პორტუგალია გახდება. ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთი თქვენი ან რუმინეთის ჯიბრზე მეტოქეს „დაუწვება"? მით უმეტეს, რომ თავიანთი ლიდერი კონსტანტინ რაჩკოვი და ძირითადი შემადგენლობის კიდევ რამდენიმე მორაგბე ჰონკონგის შვიდკაცა ტურნირზე გაუშვა და ისინი პორტუგალიასთან არ ითამაშებენ.**

— არა მგონია რუსეთმა შეგნებულად წააგოს პორტუგალიასთან. ბოლოს და ბოლოს რუსებისთვის ეს პრესტიჟის მატჩია და ყველანაირად შეეცდებიან მეტოქე დაამარცხონ. თანაც ეს რაგბია და არა ფეხბურთი. რაგბიში თამაშების „მიცემა" გამორიცხულია და არაკაცური საქციელია. ჩემი აზრით, რუსეთი მოუგებს პორტუგალიას და ყველაფერი ჩვენი და რუმინეთის დაპირისპირებაში გაირკვევა.

**ბაჩო სვანიძე**

### საქართველოს ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა

**ძირითადი შემადგენლობა:** ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი გიორგაძე, ვასილ კაცაძე, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი აბუსერიძე; გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, ტარიელ რატიანიძე, ვანო ნადირაძე, ზურაბ მჭედლიშვილი, გია ლაბაძე, გრეგუარ იაშვილი, ილია ზედგინიძე (კაპ)

**სათადარიგოები:** მევლუდ მთიულიშვილი, დავით ხინჩაგაშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, დავით ბოლღაშვილი, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი გუნდიშვილი, ბადრი ხეხელაშვილი



# ჩინებულია!

**გუშინ** ვაშინგტონში ჩინელმა წყვილად მოსრიალეებმა შენ ხუემ და ზაო ჰონგბომ მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო მოიგეს და ჰოი, საოცრება — მსაჯთა ამგვარ გადაწყვეტილებაში ეჭვი არავის შეუტანია. ვერც გაბედავდნენ, რაკი ბრმა უნდა ყოფილიყავი, ჩინელთა უდავო უპირატესობა არ გეღიარებინა. აკი ვერცხლს დაჯერებულმა ტატიანა ტოტმიანინას მეწყვილე მაქსიმ მარინინმაც ალალად აღიარა, დღეს რომ ჩინელებმა ისრიალეს, მსგავსი არფერი მინახავს და უდავოდ გვჯობდნენო. აქვე შეგახსენებთ, რომ ფინალური პროგრამის წინ ლიდერები სწორედ რუსები იყვნენ.

აბა, ქაღალდზე როგორ გადმოვიტანოთ ჩინელთა სრულყოფილი ტექნიკა და უზადო არტისტიზმი, ამიტომ მათი გამოსვლისას მიღებული შთაბეჭდილება ფაქტების ენაზე ვთქვათ: სრიალის დაწყებიდან მეოცე წამზე ვეებერთელა ქსშ ცენტრში თავმოყრილი ხალხი ერთიანად წამოიშალა ფეხზე, მერე ცოტათი დამშვიდდნენ, ხოლო ბოლო 45 წამის განმავლობაში მუსიკის გადამფარველი ტაში ერთი წამითაც არ შეწყვეტილა. ხოლო როცა ცხრა ანონიმი მსაჯიდან ერთმა ჩინელებისთვის სამეორეადგილო ქულების დაწერა გაბედა, სადამ ჰუსეინს არ დაუსტვენდნენ ისე, ამის გამო რომ დასტვინეს. მაგრამ ეგ არაფერი, დანარჩენმა რვა მსაჯმა სამართლიანად განსაჯა, მათგან ოთხმა კი 6-6 ქულა ჩამოწერა.

ნასრიალევს შენ ხუემ (ჩინელთა გვარ-სახელებს რას გაუგებ, ამიტომ გეტყვით, რომ შენ ხუე ქალია) თავისი გამოსვლა ასე აღწერა: „სრიალისას არაფერს ვგრძნობდი, ყველაფერს მექანიკურად, ვარჯიშებზე ათასჯერ დამუშავებულის ნაირად ვაკეთებდი. ერთი სიტყვით, მთლიანად გამოცდილებას მივენდე და აი, შედეგიც — ასე კარგად მე და ზაოს არასდროს გვისრიალია".

ზაო ჰონგბომ კი თქვა: „თავისუფალი პროგრამა ოთხწუთნახევარს გრძელდებოდა და გარწმუნებთ, ეს ერთი შეხედვით მცირე დრო საუკუნედ მომეჩვენა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, მე ხომ ძალიან ვნერვიულობდი".

მაქსიმ მარინინმა კი დასძინა, ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ ერთმა უმნიშვნელო შეცდომამ დაგვაკარგვინა ოქროო. ერთი სიტყვით, ყველაფერი შარშანდელივით მოხდა: ჩემპიონები მაშინაც შენ ხუე და ზაო ჰონგბო გახდნენ, ტოტმიანინა და მარინინი კი ვერცხლს დასჯერდნენ.

ამგვარად, ჩინელებმა ოქროსთან ერთად 82 500 დოლარიც ჩაიჯიბეს, რუსებს 49 500 დოლარი ერგოთ, მესამეადგილოსნები, ასევე რუსები, მარია პეტროვა და ალექსეი ტიხონოვი, 2000 წლის მსოფლიოს ჩემპიონები, 33 ათასით გამდიდრდნენ. თუმცა ისიცაა, რომ ხალხმა ეგრეც ვერ გაიგო, რატომ ერგოთ მათ ბრინჯაო, სრიალისას ხომ სამი უხეში შეცდომა დაუშვეს. მაგრამ ჯანდაბას, ჩემპიონი ნაღდად საჩემპიონო წყვილი გახდა.



შენ ხუეს და ზაო ჰონგბოს ამერიკა ფეხზე დაუდგა

REUTERS

და ქალები. გუშინდელი კვალიფიკაციის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა მიშელ კვანმა და იაპონელმა ფუმი შუგურიმ, მაგრამ ეჭვი გვაქვს, რომ იაპონელი ოქროში ვერ ჩაეცილება ჩინური გვარისა და იერის ამერიკელს. კვანისთვის ეგებ დიდი ბრძოლა გაემართა შარშანდელ ჩემპიონ ირინა სლუცკაიას, მაგრამ დედა გახდომია ავად და ვაგლახ, ვაშინგტონში ვერ წასულა.

ამერიკელებს დიდი იმედი ჰქონდათ სარა ჰიუზისაც, რომელმაც სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე ოქრო მოიხვეჭა, მაგრამ ამაოდ — ჰიუზი ოდენ მეთერთმეტეა. რა ხანია, არც ერთ შეჯიბრებაზე არ გამოვსულვარ და პრაქტიკის უქონლობამ დამმართა ეს ამბავიო, დაიჩივლა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და დასძინა, ასეთ ჩავარდნას მაინც არ ველოდებოდიო.

**თეიმურაზ უზაკოვი**



### რეგულარული ჩემპიონატი

# რეინჯერსმა არ იცის, ფული სად წაიღოს. რეინჯერსმა არ იცის, ქულა საიდან მოიტანოს

— 26 მარტი —

**რეინჯერსი 1:3 პიტსბურგი**
**0:2 0:0 1:1**
**0:1 სტრაკა (8), 0:2 სუროვი (20), 0:3 მელოში (42), 1:3 ლიჩი (49)**

როგორი წარმოსადგენია სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში მოყურყუტე მადრიდის „რეალი" ანაც ის, რომ მანჩესტერ იუნაიტედი" გადამწყვეტ მატჩში „სანდერლენდთან" წააგებს? დიდძალი ფული რომ წარმატების საწინდარია, ეს პროფესიული სპორტის აქსიომაა. ძლიერი და მდიდარი გუნდები ყოველთვის ჩემპიონები ვერ ხდებიან, მაგრამ მუდამ იბრძვიან ამისთვის. თუმც ყველა წესს თავისი გამონაკლისი აქვს და ნჰლ-ში ეს მოასპარეზე „რეინჯერსია". თუ ნიუიორკელებს პლეი ოფში გასვლა ეწადათ, ყველა დარჩენილი მატჩი უნდა მოეგოთ. ჰოდა, ოთხაშაბათს ისეთი მეტოქე ჩაუვარდათ ხელში, უკეთესზე ვერც იოცნებებდნენ. პიტსბურგს 16 მატჩია, არ მოეგო და მხოლოდ სამი ფრე მოეხერხებინა. ასე რომ, მასპინძლებს მოგება თითქოს გარანტირებული ჰქონდათ, მით უფრო, რომ სტუმრებს მარიო ლემიე აკლდათ. (მთავარი პიტსბურგელი კვლავ ზურგმა შეაწუხა).

ყველაფერი ხელს უწყობდა, მაგრამ „რეინჯერსმა" დაამტკიცა, რომ პლეი ოფის ღირსი არ არის. ერთობ ინერტულ თამაშში ნიუიორკელებმა სულელური შეცდომები დაუშვეს. მატჩის ბოლოს კი გააქტიურდნენ, თუმც რაღა დროს.

ამ მარცხით „რეინჯერსმა" თავისი საპლეიოფო შანსები ნულს გაუტოლა. „ეს ნჰლ-ია და აქ არავინ დაგითმობს ორ ქულას მხოლოდ იმიტომ, რომ ეს შენ უფრო გჭირდება" — თქვა მატჩის შემდეგ „რეინჯერმა" ენსონ კარტერმა.

**ედმონტონი 4:3 ფინიქსი** *2:1 1:1 1:1*
**1:0 პემსკი (3), 2:0 დვორჟაკი (15), 2:1 ქუინტი (19), 3:1 ფერგიუსონი (23), 3:2 ლენგკოუ (39), 3:3 ტეფი (43), 4:3 იორკი (47)**

ვინ იცის, როგორ ნანობს კარტერი, დედლაინზე ედმონტონიდან წასვლამ რომ მოუწია. „რეინჯერსს" რომ იმედები გადაეწურა, იმ დღეს მისმა ყოფილმა გუნდმა პლეი ოფში გასვლა გაინაღდა. ასე რომ, დასავლეთში ყველა, რვავე გუნდი ცნობილია. „მიზანი მიღწეულია, ჩვენ პლეი ოფში ვართ, იმედია, იქაც ბევრს გავამწარებთ — ხარობდა მატჩის შემდეგ გადამწყვეტი გოლის ავტორი, ყოფილი „რეინჯერი" მაიკ იორკი.

**ბუფალო 2:1 ფლორიდა** *1:1 1:0 0:0*
**0:1 ჰუსელიუსი (6), 1:1 ტეილორი (13), 2:1 ბრირი (40)**

**ატლანტა 5:1 კაროლინა** *2:1 2:0 1:0*
**1:0 კოვალჩუკი (7), 1:1 ფრენსისი (11), 2:1 ჰიტლი (16), 3:1 კოუენი (22), 4:1 ჰიტლი (39), 5:1 ტეიმერი (54)**

**მინესოტა 0:1 სენტ ლუისი** *0:1 0:0 0:0*
**0:1 სტილმანი (9)**

სენტ ლუისი კმაყოფილი უნდა იყოს თავისი ახალი მეკარით. აილენდერსიდან დედლაინზე გადმოსულმა კრის ოსგუდმა უკვე წესად აქცია კვირაში თითო შათაუტი.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

სენტ ლუისის მეკარემ კრის ოსგუდმა მინესოტელ პასკალ დიუპუის დაცემულმაც არ გაატანინა

AP



# მეთერთმეტე

აი, ასეთი ცეკვა. უიღბლობის და მარცხის ცეკვაა, რა თქმა უნდა. ოლიმპიური ჩემპიონი სარა ჰიუზი მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ მეთერთმეტეა და თითქოს ხელის შემველებას ითხოვს. დრონი მეფობენ, თუმც, აღმდგარი ჩემპიონიც ბევრი გვინახავს.

# კიევური ტრადიცია

კიევში ტრადიციაა: ეროვნული ნაკრების თამაშის წინ კონჩა-ზასპას ბაზაზე ღია კარის დღე ეწყობა და იქაურობა გულშემატკივრებს ეკუთვნით. როგორც ხედავთ, ეს მართალია და ერი და ბერი ნაკრების შესათვალიერებლად მიედინება-ხოლმე. ეს ფოტო გასული შემოდგომისაა და მასზე ტრადიციული ფან-ალლუმია აღბეჭდილი. ახლა კიევში ცივა, თუმც ხალხი ნაკლები არ იქნება.



REUTERS




# მამა და შვილი

ავსტრალიელ რობი მაკ ევანს მოუგია 200-კილომეტრიანი ტრავერ ლეს ფლანდრესისველორბოლა და ქალაქ ვარეგემში მომზადებულ პოდიუმზე ჯილდოსთან ერთად თავისი ვაჟი ნევინიც აუწევია. ნევინი სხვა მხარეს იყურება.

# საუკეთესონი

აი, ამერიკის სკოლა-კოლეჯთა საუკეთესო კალათბურთელები: კრონელი ლაბრონ ჯეიმსი და იორკული აივორი ლატა. მათი ჯილდოები მორგან ვუტონის სახელობისაა. მაკდონალდსის მხარდაჭერით მიმდინარე სკოლა-კოლეჯთა პირველობის ოლ სტარი გუშინ კლივლენდის განდ არენაზე გაიმართა, აღმოსავლეთმა 122:107 მოიგო.

REUTERS




AP




# თხოვნა

ახლა ომია, თამაში კი გრძელდება. ამერიკის სპორტულ არენებზე ახლა ხშირია პოლიტიკური პლაკატები და „პორტლენდისა" და „იუტას" საკალათბურთო მატჩის ერთ დარდიან მაყურებელს ასეთი თხოვნა გამოუტანია: „ღმერთო, დაიფარე ჩვენი ჯარები".

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge